ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 15 იანვარი, 2020 №11 (8275) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

საქართველოს მოქალაქემ აზერბაიჯანის საზღვარზე ქართველი მესაზღვრე მძევლად აიყვანა

ილია ჯიშკარიანი: „თამთა თოდაძე პახმელიაზე არ იყო?“

გვ.5

„ივანიშვილმა რამდენიმე ახლობელი უნდა დაიჭიროს“

გვ.3

„სააკაშვილი ფიქრობს, რომ მისი დრო ახლოვდება“

გვ.3

„რატომ გაუჩინარდა დავით სერგეევიკო?“



დიმიტრი ბიძინაშვილი: „შესაძლებელია, მედიკამენტები კი არ გაფუჭდა, არამედ ისინი უცხოეთში გაყიდეს“

„თუ დადასტურდა, რომ გახარია ფულს ათეთრებდა, ეს საერთაშორისო სკანდალი გახდება“

გვ.3

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველოში ირანელებზე 134 ათასი ბინაა გაყიდული“

გვ.4

„ამერიკა ირანში პოლიტიკური, თეოკრატიული რეჟიმის ცვლილების გზას დაადგა“

გვ.2

ჯი-ეიჩ-ბი — ახალი, ყველაზე საშიში ნარკოტიკი ქართულ შავ ბაზარზე

ნარკოლოგები საზოგადოებას აფრთხილებენ

შინაგან საქმეთა მინისტრმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი განსაკუთრებული დამსახურებისთვის დააჯილდოვა

გვ.4

ISSN 1987-9385

2 ლევან კობერიძე: „არავინ იცის, ივანიშვილის პრემიერად დაბრუნება „ოცნებისთვის“ უკეთესი იქნება თუ უარესი“

2 რუსეთი ჰაკერ იაროსლავ სუმბაევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საქმეზე საქართველოსგან თანხმობას ითხოვს

5 ბიძინა ჩაჩხიანი: „არ ვთვლი, რომ ქვეყანა დავანგრიე“

6 ირანის პრეზიდენტი: „თვითმფრინავის ჩამოგდება უპატიებელი შეცდომაა“

ლევან კობერიძე: „არავინ იცის, ივანიშვილის პრემიერად დაბრუნება „ოცნებისთვის“ უკეთესი იქნება თუ უარესი“

– ჯერ კიდევ საკითხავია, ივანიშვილის პრემიერ-მინისტრად დაბრუნება „ქართული ოცნებისთვის“ უკეთესი იქნება თუ უარესი.

ამის შესახებ ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ წევრმა ლევან კობერიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შესაძლოა წინასაარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილი კვლავ პრემიერ-მინისტრი გახდეს.

კობერიძის თქმით, მისი მმართველ გუნდში ყოფნის პერიოდში ივანიშვილის დამოკიდებულება ამ საკითხზე იყო ნეგატიური, თუმცა თუ ივანიშვილი პრემიერის პოსტზე დაბრუნდა, ეს „ქართული ოცნების“ რეიტინგზე დადებითად აისახება თუ უარყოფითად, ცალსახად თქმა ძნელია.

– მაშინ, როდესაც მეც გუნდში ვიყავი და გუნდის წევრები ბიძინა ივანიშვილს პრემიერ-მინისტრად დაბრუნებას სთავაზობდნენ, მისი დამოკიდებულება ამ ფაქტთან დაკავშირებით ყოველთვის ნეგატიური იყო.

წინასაარჩევნოდ არცთუ ისე კარგი მდგომარეობა აქვს „ქართულ ოცნებას“, მაგრამ დავუშვათ, რაიმე მსგავს იდეაზე მსჯელობა მიდის გუნდის შიგნით, ჯერ კიდევ საკითხავია, ივანიშვილის პრემიერ-მინისტრად დაბრუნება „ქართული ოცნებისთვის“ უკეთესი იქნება თუ უარესი.

ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნა „ქართული ოცნების“ მხრიდან არ ცვლის არაფერს მოქალაქეებისთვის. გახარიამ რომ შეცვალა მამუკა ბახტაძე, რაიმე უკეთესობისკენ შეიცვალა მოსახლეობისთვის? გახარიას თუ შეცვლის ახლა არჩილ თალაკვაძე ან ბიძინა ივანიშვილი, რამე უკეთესობისკენ შეიცვლება მოსახლეობისთვის?

ესაა ამოსავალი წერტილი და რაიმე ინტერესს არ წარმოადგენს, პიროვნულად ვინ იქნება. თუ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრად დაბრუნდება, ეს „ქართული ოცნების“ რეიტინგისთვის კარგი იქნება თუ ცუდი, ერთმნიშვნელოვნად ცალსახა არ არის, – განაცხადა ლევან კობერიძემ.

მისივე ინფორმაციით, შესაძლოა, წინა საარჩევნოდ ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ ბაზაზე ახალი პარტია დაფუძნდეს.

– ვიცი, რომ საქართველოში ამომრჩევლის უდიდეს ნაწილს არ უნდა არც „ქართული ოცნება“ და არც ნაციონალური მოძრაობა. შესაბამისად, ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ გაჩნდეს ახალი პარტია, მათ შორის ჩვენი ფრაქციის ბაზაზე, რომელიც უპასუხებს საზოგადოების მოთხოვნებს, – განაცხადა ლევან კობერიძემ.

* * *

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ივანიშვილის გეგმებზე საუბრობს დეპუტატი დავით ჭიჭინაძე. მოძრაობა „ტრიბუნის“ დამფუძნებელი ამბობს, რომ ივანიშვილი სიის პირველი ნომერი იქნება.

– ნაკლებად რეალური მგონია ბიძინა ივანიშვილის ახლა პრემიერად მობრუნება, იმიტომ, რომ საარჩევნო წელია. თუმცა ის, რომ საარჩევნო სიის პირველი ნომერი იყოს და მომავალ პრემიერად და მომავალი პროგრამით წარსდგეს ხალხის წინაშე, უფრო ლოგიკური მგონია.

გამარჯვების შემთხვევაშიც, სწორედ მას ექნება გარკვეული ლეგიტიმაცია – ხალხის მხარდაჭერა, თუმცა ის მიდგომები, რაც დღეს „ქართულ ოცნებას“ აქვს – კულუარულად მართვა – დანარჩენი ცივილიზებული სამყაროსთვის აბსოლუტურად მიუღებელია და დამარცხების შემთხვევაში, „ოცნების“ ბევრ პირველ პირს ალბათ პასუხისგება მოუწევს, რადგან კორუფციული სქემები, ფულის მიტაცება... ეს ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

მოკლედ, ჩემი ინფორმაციით, ივანიშვილი დღეს პარტიის გაძლიერებით არის დაკავებული, იმიტომ რომ, არჩევნებს პარტია იგებს და ის ხვდება იმ ადამიანებს, ვინც შემდგომში „საარჩევნო ველზე“ უნდა იმუშაოს ინტენსიურად და ვიზეც ფიქრობენ, რომ „ოცნების“ შემავსებელი ახალი სახეები გახდებიან.

გახარიას გადაყენების შემთხვევაში კი, ვფიქრობ, პრემიერად უფრო ნეიტრალური ფიგურას დანიშნავს, საარჩევნო სიასთან, გუნდთან დაკავშირებით საკუთარი პრეტენზიები რომ არ წააყენოს.

ასე რომ, საარჩევნოდ, შიდა დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“ ალბათ კიდევ უფრო გაიზრდება, იმიტომ, რომ ყველა ხვდება, მხარდაჭერა ისეთი აღარ არის, როგორიც თუნდაც 2016 წელს. ამიტომ კვოტებსა და მაჟორიტარებზე ბრძოლა იქნება. გახარია კი დღეს მარტოა დატოვებული, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

ჯი-ეიჩ-ბი – ახალი, ყველაზე საშიში ნარკოტიკი ქართულ შავ ბაზარზე

ნარკოლოგები საზოგადოებას აფრთხილებენ



რუსთავი 2-ის ცნობით, საქართველოში ახალი ნარკოტიკი გამოჩნდა. ის ახალია საქართველოსთვის, თუმცა მთელ მსოფლიოში უკვე აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საშიში ნარკოტიკი.

საუბარია ჯი-ეიჩ-ბიზე, რომელიც 60-იან წლებში ანესთეზიისთვის გამოიგონეს, 80-იან წლებში წონის დასაკლებად იყენებდნენ, ხოლო უკვე ამ საუკუნეში ქლაბერების საყვარელი ნივთიერება გახდა.

ის პოპულარობით მთელ მსოფლიოში სარგებლობს და სხვადასხვა დასახელებით არის ცნობილი. საგულისხმოა, რომ შეერთებულ შტატებში ბოლო 30 წლის განმავლობაში ჯი-ეიჩ-ბის მოხმარების ფონზე 16.000 ადამიანი დაიღუპა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბილ კლინტონმა მისი ნებისმიერი ფორმით გამოყენება აკრძალა.

უკანასკნელი კვლევებით, ეს ნარკოტიკი განსაკუთრებით საშიშია ალკოჰოლთან ერთად, ხოლო მისი გადაგდება უფრო რთულია, ვიდრე ჰეროინის.

ნარკოლოგები საზოგადოებას კატეგორიულად აფრთხილებენ, რომ ჯი-ეიჩ-ბის ახალი ნაერთის მოხმარება, რომელიც ბოლო პერიოდში შავ ბაზარზე გამოჩნდა, უმძიმესი შედეგებით სრულდება.

საუკუნის ნარკოტიკის შესახებ ინფორმაცია აქვთ ნარკოლოგიურ ცენტრებშიც.

კლინიკა „ნეოგენის“ დირექტორის განცხადებით, ნივთიერება პირდაპირ მოქმედებს სუნთქვის ცენტრზე, თრგუნავს რეფლექსს, რაც საბოლოოდ, შეიძლება სიკვდილის მიზეზიც გახდეს. ექიმის თქმით, კლუბურ ნარკოტიკს მეორენაირად „ქიმიური სექსის“ სახელითაც იცნობენ.

ექიმების განცხადებით, ხშირია გაუხმაურებელი შემთხვევები, როდესაც კლინიკებში მოზარდები შეჰყავთ. მათივე ინფორმაციით, ახალი წლის დღეებში საავადმყოფოებში პაციენტების ნაკადმა იმატა.

ტოქსიკოლოგი მარინა გიორგობიანი ამბობს, რომ ვითარება განსაკუთრებით მაშინ მწვავდება, როდესაც ნარკოტიკს ალკოჰოლს ამატებენ. ჯი-ეიჩ-ბის მოხმარება იწვევს ბევრად მძიმე დამოკიდებულებას, ვიდრე ოპიატების ჯგუფი.

ნარკოლოგების ინფორმაციით, მიმართვიანობა მკვეთრად არის მომატებული ახალი წლის პერიოდში, თუმცა ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში ამბობენ, რომ მათთან მსგავსი შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

ფსიქოლოგების თქმით, კლუბური ნარკოტიკი დღეს მსოფლიოს წინაშე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ის პირდაპირ ურტყამს ფსიქიკას და ნეგატიური შედეგი ხშირად პირველი მოხმარებისთანავე დგება.

არაოფიციალური ვერსიით, ჯი-ეიჩ-ბი შავ ბაზარზე იყიდება. გავრცელებული ინფორმაციით, ახალ ფორმულას იატაკქვეშა ლაბორატორიებში აწარმოებენ. საიდან ხვდება ნარკოტიკი ქართულ ბაზარზე, უცნობია.

ზუსტად რამდენიმე კვირის წინ გამოვლინდა ნარკორეალიზაციის დანაშაულებრივი სქემა, რომლის ფარგლებშიც თბილისსა და ბათუმში სხვადასხვა სახის ქიმიურ ნივთიერებას ადგილზე ამზადებდნენ.

ამოღებული ნარკოტიკის საერთო ღირებულებამ 6 მილიონი შეადგინა.

პოლიციამ ქურდობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული ი.კ., ქურდობის ბრალდებით, თბილისში, შარტავას ქუჩაზე დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ამა წლის 12 იანვარს, თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე მაღაზია „აისაფორთიდან“ მობილური ტელეფონები და ფული მოიპარა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ი.კ. მომხდარიდან მეორე დღესვე დააკავეს. პოლიციამ, მისი პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნაქურდალი ნივთები და მოპარული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სადგომში ან საცავში უკანონოდ შეღწევით ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორად თამარ მახარაშვილი დაინიშნა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორად თამარ მახარაშვილი დაინიშნა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით, კონკურსის შედეგების საფუძველზე, 2020 წლის 10 იანვარს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორად თამარ მახარაშვილი დაინიშნა.

„თამარ მახარაშვილი ფლობს მაგისტრის ხარისხს აღმოსავლეთმცოდნეობაში და დასრულებული აქვს ასპირანტურის კურსი ებრაულარამეულ ფილოლოგიაში. სხვადასხვა პერიოდში საკვალიფიკაციო და პროფესიული განვითარების პროგრამებს გადიოდა ისრაელში, გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა იუდაიკის კაბინეტს და არის ებრაული ენის ლექტორი. 2004 წელს ქართველი ებრაელებისთვის გამოსცა სახელმძღვანელო „დედა-ენა ებრაულად იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“. არის ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების ავტორი, როგორებიცაა: ისრაელში ქართული კულტურის დღეები და ტელემარათონები მზრუნველობამოკლებული ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის.

თამარ მახარაშვილს აქვს სამთავრობო უწყებებში მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის დიდი გამოცდილება. მას 2005 წლიდან დღემდე ეკავა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილისა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანამდებობები. ასევე ეჭირა მინისტრის მრჩევლის თანამდებობა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დირექტორის პოზიცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. მისი კარიერა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში მოიცავს თანამდებობებს პროექტის ხელმძღვანელიდან დირექტორის მოადგილემდე“, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

რუსეთი ჰაკერ იაროსლავ სუმბაევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საქმეზე საქართველოსგან თანხმობას ითხოვს

იაროსლავ სუმბაევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საქმეზე რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი საქართველოსგან თანხმობას ითხოვს.

გამოცემის მიხედვით, საგამოძიებო კომიტეტი ქართული მხარისგან იაროსლავ სუმბაევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე თანხმობას ევგენია შიშკინას მკვლელობის საქმეზე ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ ევგენია შიშკინა 2018 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვთან ახლოს მოკლეს. მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებით იაროსლავ სუმბაევი თბილისში 2018 წლის ნოემბერში დააკავეს. მისი რუსეთში ექსტრადირება 2019 წლის ოქტომბერში განხორციელდა.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რატომ გაუჩინარდა დავით სერგეევიკო?“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „შესაძლებელია, მედიკამენტები კი არ გაფუჭდა, არამედ ისინი უცხოეთში გაყიდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი **დიმიტრი ბიძინაშვილი** პასუხობს.

– დიმიტრი, ცე ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამის ჩავარდნას სერიოზული პროტესტი მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. რასთან გვაქვს საქმე, კორუფციულ სქემასთან თუ ხელისუფლების უნიათობასთან?

– მაშინ, როდესაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები და მეგობრები ზრუნავენ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე, ჩვენს ხელისუფლებას სულ ფეხებზე ჰკიდია ჩვენი მოქალაქეები. სწორედ ამის დასტური იყო ის გაფუჭებული მედიკამენტები, რომლებიც მივიღეთ. ეს იყო ის მედიკამენტები და ის ფული, რაც საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აძლევდა იმის შანსს, რომ სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა. სწორედ ამას შეუშალეს ხელი და ფაქტობრივად სასიკვდილოდ გაწირეს ის ადამიანები, რომელთაც უნდა მიეღოთ ის დოზა, რომელზეც გვითხრეს, რომ თურმე გაფუჭდა. არადა სულ სხვა სიტუაცია იყო.

– რა სიტუაცია?

– მუდამ რიგები იდგა ამ მედიკამენტების ასაღებად. ადამიანები მიდიოდნენ და ითხოვდნენ მედიკამენტს, მაგრამ მათ არ მისცეს ეს მედიკამენტები. ახლა კი გამოდიან და აცხადებენ, გაფუჭდაო. შეიძლება საერთოდ სხვა რამესთან გვქონდეს საქმე.

– კერძოდ, რასთან?

– იმასთან, რომ უბრალოდ ადგნენ და ფულის საშოვნელად, ეს მედიკამენტები გაიტანეს მესამე ქვეყანაში შავ ბაზარზე და იქ გაყიდეს. 1 ადამიანის მკურნალობა 80 ათასი ჯდება. შესაბამისად, ძალიან დიდ ფულზეა აქ საუბარი. რამდენიმე ასეულ მილიონზეა. ამათგან არაფერია გამორიცხული.

– გამოძიებას ითხოვთ?

– გამოძიება აუცილებლად უნდა დაიწყოს, თუმცა ამის იმედი ამ ხელისუფლების პერიოდში არ არსებობს, მაგრამ ძალიან მალე შეიცვლება „ქართული ოცნება“ და აუცილებლად გამოძიებული იქნება ეს საქმე, თუ რეალურად სად წავიდა ეს მედიკამენტები, მართლა ვადა გაუვიდა თუ გაყიდული იქნა შავ ბაზარზე.

ეს პროგრამა არ იყო ერთადერთი, რომელსაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები აფინანსებდნენ და სწორედ ამიტომაა ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ეს საქმე დროულად იქნას გამოძიებული.

– ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს – ყოფილი ჯანდაცვის მინისტრის, სერგეენკოსი თუ ამჟამინდელის? რაღაც საეჭვოდ გაუჩინარდა სერგეენკო.

– დიახ, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ სერგეენკო სწორედ ამის გამო იყოს გაუჩინარებული. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ყოფილ დეპუტატს წამოსცდა, რომ ამერიკულმა მხარემაც დაიწყო გამოძიება ამ მედიკამენტებთან დაკავშირებით. შესაძლოა, სწორედ ამასთან იყოს დაკავშირებული სერგეენკოს გადამალვა.

თუმცა ფაქტია ის, რომ დღევანდელი მინისტრი და სამინისტროში მყოფი ადამიანები ხელს აფარებენ ამ ფაქტს და ბოლომდე არ გვეუბნებიან, რა ხდება. იმის მაგივრად, რომ საზოგადოება გაარკვიონ, რეალურად რა მოხდა, გამოდიან და გვეუბნებიან, რომ თურმე ეს არ ყოფილა ბიუჯეტის ფული!

– სინამდვილეში რა ფული იყო?

– სინამდვილეში ეს იყო ფული, რომელსაც სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების გადასარჩენად ხმარობდა. ის მედიკამენტები, რომლებიც გაფუჭდა, ან შავ ბაზარზე გაიტანეს, 2.000 ადამიანს ეყოფოდა.

– რას აპირებთ დიმიტრი, ბოლომდე მიყვებით ამ საკითხს?

– ჩვენ ეს ფაქტი გავაპროტესტეთ, ახლა დაველოდებით განმარტებების გაკეთებას, დაველოდებით, რას მოიმოქმედებენ სახელმწიფო ორგანოები. ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ პროკურატურასაც მივმართოთ. იმის მიუხედავად, რომ ესენი არ გამოიძიებენ და უბრალოდ თაროზე შემოდებენ, ეს საქმე იქნება გამზადებული შემდეგი ხელისუფლებისთვის და აუცილებლად მოხდება ამ ფაქტის გამოძიება.

– ზოგადად ჩავარდა ჯანდაცვის სისტემა, რთული სიტუაციაა ამ სფეროში.

– სწორედ აქ არის ყველაზე დიდი პრობლემა, ფაქტია, რომ ვერ გაართვეს თავი. ეს პროგრამა უკვე 2020 წელს უნდა წასულიყო დასრულებისკენ და 90%-ზე მეტი უნდა ყოფილიყო განკურნებული ამ პროგრამით, მაგრამ დაახლოებით 50%-ა ჯერ განკურნებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ჭიანურდებოდა ადამიანებისთვის ამ მედიკამენტების მიწოდება და რატომ ჭიანურდებოდა, ეს არის დასადგენი.

– ჯანდაცვის სამინისტროში სრულიად სხვა რამეს აცხადებენ, არ მოგვაკითხეს და არ იზრუნეს საკუთარ ჯანმრთელობაზეო.

– გაიკითხოს საზოგადოებამ, რამდენი ადამიანი იყო დასნეულებული, არც ის არის გამორიცხული, რომ მათ გვერდით მყოფი ადამიანებიც დასნეულებულიყვნენ. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა ბიუროკრატიული ბარიერის გავლა უწევდათ, რომ მისულიყვნენ ამ მედიკამენტის ასაღებად.

ეს იყო უბრალოდ დადგმული სპექტაკლი, რასაც ახლა გვიყვებიან „ქართული ოცნების“ წევრები, რომ მათ ვინმემ არ მიაკითხა. როგორ წარმოგიდგენიათ, ადამიანს მედიკამენტი ეგულებოდეს უფასოდ, რომელსაც მოიხმარს და ამით სიცოცხლეს შეინარჩუნებს და არ მიდიოდეს ამ მედიკამენტის ასაღებად?! ეს არის კიდევ ერთი დიდი ტყუილი, რომელსაც „ქართული ოცნება“ გვეუბნება.

ეს საქმე აუცილებლად უნდა იქნას გამოძიებული. ერთი მხრივ, ეს ადამიანები გაწირეს სასიკვდილოდ, მეორე მხრივ, იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც გვეხმარებიან ჩვენი მოქალაქეების მკურნალობაში, არ დავკარგოთ ავტორიტეტი და მათ ისევ გააგრძელონ სხვადასხვა პროგრამების დაფინანსება, რომელთაც სახელმწიფო ვერ აფინანსებს და რომლებიც მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობისთვის, გადარჩენისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის.

– დიმიტრი, მიუხედავად იმისა, რომ სადღესასწაულო დღეები იყო, თქვენი ორგანიზაცია არ გაჩერებულა, საკმაოდ აქტიურობდით. როდიდან განახლდება მასობრივი პროტესტი?

– ჩვენი პროტესტი ნამდვილად არ გაჩერებულა, მათ შორის, არც 31-ში გავჩერებულვართ. უბრალოდ, არ შეიძლება სახლში თბილად ჯდომა მაშინ, როდესაც შვილმოკლულ მამას დაურბევენ კარავს და იმ ადამიანებს დაურბევენ კარავს, რომლებიც სიმართლისთვის იბრძვიან. სწორედ

ამის გამო ვიდექით მათ შორის 31-ში ქუჩაში და პირადად მე პირველად შევხვდი ახალ წელს ოჯახის გარეთ.

ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროტესტის გაგრძელება და ის გაგრძელდება. ყველაფერი „ქართულ ოცნებაზეა“ დამოკიდებული, ისინი დააჩქარებენ თუ არა ამ პროტესტის გაზრდას და მასობრივ მდგომარეობაში გადაყვანას. თუ ისინი არ დათანხმდებიან ქართველი ხალხის ნებას, ეს პროტესტი უფრო ფართომასშტაბიანი გახდება და პიკეტირებებიც აუცილებლად გაგრძელდება.

მათ აღარ აქვთ ლეგიტიმაცია, მათ აღარ აქვთ ნდობა, რაზეც მეტყველებს ის, რომ თითოეული მათი გადაადგილება უზრუნველყოფილია ხოლმე სამართალდამცავების სრული მხარდაჭერით და მობილიზებით. პოლიცია სრული შემადგენლობით მათ დაჰყვება და იცავს.

– ბოლო პერიოდში პრეზიდენტი მოჰყვა აქტიურად თქვენი პროტესტის ტალღაში.

– ყველა მათგანი მოჰყვება ამ ტალღაში. რაც უნდა ამტკიცონ, მხარდაჭერა გვაქვსო, ეს ტყუილია, რადგან როდესაც საზოგადოებისგან ათასობით პოლიციელი გიცავს, ე.ი. შენ აღარავითარი ნდობა აღარ გაქვს. ხოლო როდესაც ნდობა არ გაქვს, ჯობია, დაემორჩილო ქართველი ხალხის ნებას და აღასრულო ის, რაც არის მისი დაკვეთა.

წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ცუდად მთავრდება ხოლმე.

ნიკა ჩიტაძე: „თუ დადასტურდა, რომ გახარია ფულს ათეთრებდა, ეს საერთაშორისო სკანდალი გახდება“

იაგო ნაცვლიშვილი

მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ირანში ფულს ათეთრებდა. ხელისუფლება ამას დეზინფორმაციად აფასებს. სამაგიეროდ, აცხადებენ, რომ მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებების საფუძველზე სახელმწიფო გადატრიალების მომზადების კონტექსტში შსს მოკვლევას დაიწყებს.

არის თუ არა პოლიტიკური შეფერილობა? თუ გახარიას ფულის გათეთრება დადასტურდება, გახდება თუ არა ეს საერთაშორისო სკანდალის თემა? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.

– რამდენიმე ტელევიზიამ გახარიას შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ირანში ფულს ათეთრებდა. რას ნიშნავს ეს ყოველივე, თუნდაც ჭორი იყოს, როცა ხდება ასეთი ინფორმაციის გავრცელება და თუ დადასტურდება, ეს გახდება საერთაშორისო სკანდალის თემა?

– ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით უნდა ჩატარდეს ფუნდამენტური გამოძიება. რა თქმა უნდა, ამას ჯერ ჭორს ვერ დავარქმევთ, მაგრამ, როდესაც შესაბამისი განცხადება კეთდება, ამას სჭირდება საფუძვლიანი გამოძიება. თუ, ვთქვათ, გახარიას ბრალეულობა დადასტურდება, აქ პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს ხელისუფლებასაც და ხელისუფლების დე ფაქტო მმართველ ბიძინა ივანიშვილს, იმიტომ, რომ ის აფარებდა ხელს გახარიას, მათ შორის 20 ივნისის ცნობილი მოვლენების შემდგომ პერიოდში.

თუ გახარიას ბრალეულობა დამტკიცდება, რა თქმა უნდა, მაშინ საქართველო გაეხვევა საერთაშორისო სკანდალში, რადგანაც გამოვა, რომ ამაში მონაწილეობდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, მაგრამ, მეორე მხრივ, მისი კორუმპირებულობისა და იმის მიუხედავად, რომ გასული წლის 20 ივნისს მან დაარღვია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, არათუ ჩამოაშორეს ხელისუფლებას, არამედ, პირიქით, დააწინაურეს და პრემიერ-მინისტრად გადაიყვანეს.

– ის ფაქტი, რომ ეს ინფორმაცია გავრცელდა, უკვე არის თუ არა შეშფოთების საფუძველი?

– შეშფოთების საფუძველი, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ მეორე საკითხია, მე, საქართველოს კონკრეტულ მოქალა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ივანიშვილმა რამდენიმე ახლოგელი უნდა დაიჭიროს“

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილი ფიქრობს, რომ მისი დრო ახლოვდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ხომ არ ფიქრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილმა თავისი ბოლო განცხადებით საბაბი მისცა ხელისუფლებას და ახლა ხელისუფლება ცდილობს ეს თითზე დაიხვიოს?

– სააკაშვილი თავისი ყველა გამოსვლით ამტკიცებს, რომ გარეთ კი არ არის, ქართული პოლიტიკის შუაგულშია, სრულ ინფორმაციას ფლობს, რაც ხდება საქართველოში. მეორე: სააკაშვილი თვლის, რომ ხელისუფლებას მძიმე სოციალური ფონის გამო ძალიან გაუჭირდება არჩევნებში თავისი პოზიციების შენარჩუნება.

მართლაც, როგორც ჩანს, „ოცნების“ ხელმძღვანელობა სათანადოდ ვერ აფასებს ქვეყანაში სოციალური ფონის მნიშვნელობას. ასევე ახალგაზრდების ძალას. ისტორია მეორდება ხოლმე. მე მახსენდება 60-იანი წლების საფრანგეთი, როდესაც სორბონაში დაიწყო დიდი გამოსვლები, რამაც საბოლოო ჯამში ლომის წილი შეიტანა ვადაზე ადრე დე გოლის წასვლაში. ეს იყო სტუდენტური გამოსვლები.

აგერ ორი-სამი დღის წინანდელ მოვლენებს თუ გადავხედავთ, ირანში ვინ გამოდის – სტუდენტობა. იმ უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთა მეგობრებიც დაიღუპნენ ავიაკატასტროფაში. ამით იმის თქმა მინდა, რომ სტუდენტობა ის ძალაა, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია.

– ჩვენთან ავლებთ პარალელს?

– დიახ, რასაკვირველია.

– ახალგაზრდები იყვნენ შეურიგებლები, იყო გამოსვლები, მაგრამ ამ ტალღამ თითქოს გადაიარა. გაზაფხულიდან ხელახლა ელოდება ეს თავსატეხი ხელისუფლებას?

– შეუძლებელია ის პროტესტი, რომელიც

გამოავლინეს ახალგაზრდებმა, ასე ჩუმად გამქრალიყო და სადღაც შეეყუჟულიყო. არა, ერთი პატარა ბიძგი და ეს პროტესტი იქუხებს.

საქართველოში ტრადიციულად გაზაფხული პროტესტის დროა. ამას გარკვეული სოციალური ფონიც ახლავს. გაზაფხული საქართველოში ყოველთვის მშიერი თვეებია. მძიმე თვეებია. ხელისუფლება, რომელმაც 20 ლარი მოუმატა პენსიონერებს და ამ დროს 20 ლარი ერთი სადილიც არ არის, არ შეიძლება არხეინად იყოს.

ამ ყველაფრის შემხედვარე სააკაშვილმა, არ არის გასაკვირი, იფიქროს, რომ მისი დრო ახლოვდება. თანაც, ამ ყველაფრის ფონზე, ხელისუფლება შეცდომას შეცდომაზე უშვებს.

– კონკრეტულად?

– ამაზე დიდი პოლიტიკური შეცდომა რა გინდა, საარჩევნო წელს სასამართლო პროცესზე რომ აწყობ. ამას ემატება ქუჩის გამოსვლები, რომელიც სულ უფრო და უფრო ზრდის ადმინისტრაციულ ე.წ. დამნაშავეებს.

– პოლიტიკურ დაკავებებს უნდა ველოდოთ? ოპოზიცია ამბობს, რომ მელია, ბოკერია, უგულავა გამზადებულები არიან. რამდენად წავა ამაზე ხელისუფლება?

– არადა, ივანიშვილისგან ახლა ყველაზე სწორი პოლიტიკური სვლა იქნებოდა არა ოპოზიციის ლიდერების დაკავება და სასამართლოების მოწყობა, არამედ სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება, რასაც მას საზოგადოება აქტივში ჩაუწერს.

– რა გადაწყვეტილება?

– საკადრო წმენდა. კორუფციაში ეჭვმიტანილი ჩინოვნიკების დაკავება. უახლოესი გარემოცვიდანაც რომ იყვნენ, ამაზე უნდა წავიდეს. საკუთარი მეგობარიც რომ იყოს, თუ კორუმპირებულია, უნდა დააკავოს, მაგრამ ამას ვერ გააკეთებს, რადგან ის პოლიტიკოსი არ არის. პოლიტიკა ასეთ მსხვერპლს ითხოვს.

სინგაპურის ლეგენდარული ყოფილი პრემიერი თავის წიგნში წერს: თუ გინდა კორუფციას ებრძოლო, სამი შენი უახლოესი მეგობარი უნდა დაიჭირო. რა თქმა უნდა, კორუფციაში მხილებულ პირებზეა საუბარი, მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკოსს შეუძლია გააკეთოს.

მე მახსოვს შევარდნაძის გადაწყვეტილება 1972 წელს, რომელიც მან სწორედ თავის მეგობართან დაკავშირებით მიიღო, მაგრამ შევარდნაძე მართლა პოლიტიკოსი იყო. ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი. არის რამდენიმე ოდიოზური ფიგურა მის გარემოცვაში, რომლების მიმართაც საზოგადოებაში არის რწმენა, რომ კორუფციულ გარიგებებში არიან მხილებულნი. მათ მიმართ გადაწყვეტილება ივანიშვილს წამალივით წაადგებოდა, მაგრამ არ წავა ამ გადაწყვეტილებაზე.

– ვის გულისხმობთ?

– საზოგადოებამ იცის, ვისზეც ვსაუბრობ. ივანიშვილი ვერ ხვდება, რა ძლიერი მხარდაჭერაა საზოგადოებრივი აზრი, საერთოდ, მე ვიტყოდი, ამაზე დგას თანამედროვე ხელისუფლება, მისი ძალაუფლება. რომ გესმოდეს, რა არის საზოგადოებრივი აზრი და მას ყურს უგდებდე, მაშინ პოლიტიკოსი უნდა იყო. სამწუხაროდ, ივანიშვილი ან საერთოდ არ იცნობს საზოგადოებრივ აზრს, ან ანგარიშს არ უწევს.

– ოპოზიციურ ფლანგზე როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს? გაზაფხულზე აქციებს აანონსებენ. რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს ოპოზიცია?

– ახლა მნიშვნელოვანია, ეს საშობაო არდადეგები ოპოზიციამ საახალწლო ქეიფში გააატარა თუ კრეატიული სვლების ძებნით იყო დაკავებული.

არ ვფიქრობ, რომ ქუჩის აქციები ოპოზიციის ძლიერი მხარეა, რადგან, ასეა თუ ისე, ხელისუფლება მაინც ადამიანების თავებს ითვლის. იმას არად დაგიდევს, რომ ხალხი მართლაც უკმაყოფილოა და თუ არ გამოდის, ეს არ ნიშნავს, რომ ის კმაყოფილი ზის სახლში.

არც ერთ მხარეს, არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას, არ აქვს საარჩევნო სტრატეგია დახვეწილი. „ქართული ოცნებაც“ და ოპოზიციაც ტრადიციული გზით მიდიან. ოპოზიციას ქუჩის იმედი აქვს, ხელისუფლებას კი – დაჭერების. არც ერთია სწორი და არც მეორე.

„ქართულ ოცნებაში“ გამარჯვების რწმენა დღითიდღე სუსტდება, მაგრამ მაინც დასავლეთის როლი იქნება გადამწყვეტი.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

2020, 15 იანვარი, №11

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საქართველოში ირანელებზე 134 ათასი ბინაა გაყიდული“

„ამერიკა ირანში პოლიტიკური, თეოკრატიული რეჟიმის ცვლილების გზას დაადგა“

გულიკო ბალაძე

რა გავლენა აქვს ირან-ამერიკის ურთიერთობებს საქართველოზე? რამდენი ათასი ირანელი ცხოვრობს საქართველოში და რა უთხრა დიმიტრი ლორთქიფანიძეს ირანის საელჩოს კულტურის ატაშემ, რა მიზნით შემოდიან ირანელები საქართველოში? ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის ყოფილი წევრი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** ესაუბრა.

– ბატონო დიმიტრი, რა გავლენა აქვს ირან-ამერიკის ურთიერთობებს საქართველოზე? რამდენად ვიცი, ბინადრობის უფლება რამდენიმე ათას ირანელს აქვს მიღებული.

– ეს არის ერთი დიდი ჯაჭვის ის რგოლი, რომელიც დაკავშირებულია ირანში განვითარებულ მოვლენებსა და იმ პროცესებთან, რომელიც თავის მხრივ კავშირშია ყასემ სულეიმანის მკვლელობასთან. შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს, რა კავშირშია ვიზალიბერალიზაცია ირანთან, საგამონაკლისო წესით მოქალაქეობისა და გამარტივებული წესით ბინადრობის უფლების მინიჭება, რომელიც ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის დროს დაიწყო და „ქართული ოცნების“ პირობებში გაგრძელდა, მაგრამ დაგისაბუთებთ.

– რა კავშირზე საუბრობთ?

– წარმოგიდგენთ მტკიცებულებებს, რომელიც თავისთავად მეტყველებს ასეთ გარიგებაზე, რომელიც შეერთებული შტატების უშუალო ზედამხედველობის ქვეშ და ქართული ხელისუფლებები ამას უბრალოდ აღასრულებდნენ, როგორც საშინაო დავალებას.

– მახსოვს, წლების წინ, ამერიკა-ირანის ურთიერთობა რომ დაიძაბა. საქართველოს ხელისუფლებამ ვიზალიბერალიზაციის პროცესი და სავიზო რეჟიმი დააწესა. ამის გამო „ოცნების“ ხელისუფლებას ოპოზიციაც აკრიტიკებდა.

– ყველაფერი იწყება 2013 წლიდან, მას შემდეგ, რაც აშშ-მა ირანს მოუხსნა მთელი რიგი სანქციებისა, შეუმსუბუქა მას იმ სანქციების ნაწილში ხვედრი, რომელიც მანამდე იყო დაწესებული. 2013 წლიდან იწყება ირანის მოქალაქეების ინტენსიური შემოსვლა.

– ობამას პერიოდზე საუბრობთ?

– დიახ, ობამას პერიოდიდან იწყება საინვესტიციო პირობით ბიზნესმენებისა და დაინტერესებული პირებისა ძალიან აქტიური შემოსვლა, რომლებიც ინტენსიურად დებდნენ კაპიტალს ქართულ ბიზნესში, მათ შორის, ის ადამიანები, რომლებიც უძრავი ქონების შეძენით იყვნენ დაინტერესებულნი და სასოფლო-სამეურნეო მიწებზე გააჩნდათ გარკვეული პრეტენზიები.

ეს ყველაფერი ინტენსიურად იწყება 2013 წელს. 2013 წელს შევხვდი ირანის კულტურის ატაშეს, რომელმაც ჩემთან საუბარში ღიად დააფიქსირა, რომ ირანში 85 მილიონი ადამიანის არსებობის პირობებში, ძალიან რთულია მოსახლეობის გამოკვება და ირანი ინტენსიურად ეძენს სამეზობლო ქვეყნებში, განსაკუთრებით თავისუფალ მიწებს, რომ აქ მოყვანილი პროდუქცია გაიტანოს ირანში და, შესაბამისად, სასურსათო პროგრამა შეასრულოს და პრობლემები ასე გადაჭრასო.

– მაშინ აქ ამერიკა რა შუაშია?

– პრეზიდენტ ტრუმენის არჩევის დღიდან, ძალიან დიდი მცდელობა იყო ირანთან დიპლომატიური ურთიერთობა. სწორედ ამიტომ, 2013 წლიდან დაიწყო ირანისთვის იმ ეკონომიკური სანქციების შემსუბუქება, რომელიც ძალიან მკაცრ პირობებს გულისხმობდა.

– ანუ ამბობთ, რომ ამერიკის რიგი პრეზიდენტების პოლიტიკა ირანთან ურთიერთობების დალაგებას პოლიტიკას გულისხმობდა?

– აუცილებლად. სწორედ ამიტომ განაცხადა თავის ისტორიულ გამოსვლაში ბოლო დროს პრეზიდენტმა ტრამპმა, რომ დიპლომატიაში ირანი ყოველთვის აღწევდა წარმატებას, ხოლო ომებში ის ყოველთვის დამარცხებული გამოდიოდაო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ შეერთებული შტატები, ფაქტობრივად, დაადგა ირანში პოლიტიკური რეჟიმის ცვლილების, თეოკრატიული რეჟიმის ცვლილების გზას.

ანუ ირანში პოლიტიკური რეჟიმი თეოკრატიული სახელმწიფოდან დემოკრატიულ სახელმწიფოდ უნდა გარდაიქმნას. სწორედ ამ ცვლილებას ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდნენ ის პირები, რომლებიც ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ხელმძღვანელობას წარმოადგენდა. მათ შორის, პირველ რიგში, ყასემ სულეიმანი იყო, რომელიც ძალოვანი კვანძის ლიდერი იყო. ის გახლდათ ძალიან სერიოზული ადამიანი, რომელსაც გააჩნდა სახელისუფლებო ბერკეტები.

ბუნებრივია, ნებისმიერი მცდელობა ირანის პრეზიდენტ როუჰანთან შეერთებულ შტატებს და, ზოგადად დასავლეთს დიპლომატიური პროცესი რომ დაეწყო, აუცილებლად შევიდოდა ჩიხში, თუ, რა თქმა უნდა, ის გვერდს აუვლიდა ყასემ სულეიმანსა და სხვა სამხედრო ლიდერებს. ამიტომ მოხდა მათი ლიკვიდაცია.

– ხომ არ გაქვთ მონაცემი, საქართველოში რამდენი ირანელი ცხოვრობს?

– საქართველოში ირანელებზე 134 ათასი ბინაა გაყიდული. როგორ ფიქრობთ, ირანიდან ინტენსიურად შემოსული ადამიანები, რომლებიც მოქალაქეობას ეძებენ, ბინადრობის უფლების მიღებას ცდილობენ, ბინას ყიდულობენ, როგორ ფიქრობთ, ეს პროცესი დასავლეთის პოლიტიკას არ არის დაქვემდებარებული. ფიქრობთ, რომ ეს შეერთებული შტატების ხელდასხმით არ ხდებოდა?!

– არ ვიცი. ამერიკის ხელდასხმით რატომ უნდა მომხდარიყო?

– არც ერთი ხელისუფლება, არც მიხეილ სააკაშვილის დროს და არც ივანიშვილის მოსვლის შემდეგ, არ არის იმდენად დამოუკიდებელი, რომ მსგავსი ტიპის საკითხები შეერთებულ შტატებთან შეთანხმების გარეშე აწარმოონ. უბრალოდ, ასე არ ხდება. რატომ გაიოლდა ირანთან მიმოსვლა? იმიტომ, რომ ქართულმა ხელისუფლებამ შეერთებული შტატებიდან ასეთი მითითება მიიღო.

– ჩვენ რა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ შემთხვევაში?

– ამდენი ხანია ვითხოვ, უვიზო რეჟიმი შეიცვალოს სავიზო რეჟიმით. ამ მოთხოვნით მე და ჩემმა მეგობრებმა ჩავატარეთ აქციები საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან, ირანის საელჩოსთან, რომელსაც ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მათ შორის ოპოზიციაში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ისეთი ადამიანები წავიდნენ წინააღმდეგი, რომლებიც ჩვენი თანამოაზრეები გვეგონა.

ეს იმიტომ ხდებოდა, ამერიკასა და საქართველოს შორის არსებობდა გარკვეული მოლაპარაკება იმასთან დაკავშირებით, რომ ირანს არ შეექმნებოდა პრობლემები ინვესტიციისა და სამოქალაქო უფლებების განხორციელების კუთხით.

– რა გულისხმობთ?

– საქართველოს მიმართულებით დიდი მიგრაციული პროცესის განხორციელებას, ანუ ირანიდან დაწყებულია დიდი გადმოსახლება. ერთი დეპუტატიც არ მოიძებნა პოზიციასა და ოპოზიციაში, ვინც ამის წინააღმდეგ ხმას აიმაღლებდა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ეს უმაღლეს დონეზე გადაწყვეტილი საკითხია. ამას ლობირებს შეერთებული შტატები.

– ანუ მიგაჩნიათ, რომ ირანთან უვიზო რეჟიმი უნდა გაუქმდეს და მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს?

– ირანთან უვიზო რეჟიმი დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს. ამის თაობაზე მივმართე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. ამის თაობაზე ფეისბუქზეც დავწერე, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამ კომენტარებს თუ დააკვირდებით, პოზიციისა და ოპოზიციის დეპუტატები ერთ პოზიციაზე დგანან. ისინი ამბობენ, რომ ირანი არის ჩვენი მეგობარი. არ შეიძლება ირანთან ამ რეჟიმის გაუქმება. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ზუსტად იციან, რა ძალების ინტერესები მოქმედებს.

ნიკა ჩიტაძე: „თუ დადასტურდა, რომ გახარია ფულს ათეთრებდა, ეს საერთაშორისო სკანდალი გახდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ქეს, მომწონს თუ არა გახარია. მე პირადად ვმონაწილეობდი 20 ივნისის აქციებში, ვიდექი ათასობით თანამოქალაქესთან ერთად რუსთაველზე და ვაპროტესტებდი იმას, რაც ხდებოდა 20 ივნისის მოვლენების დროს. ამის მიუხედავად, მე, პირველ რიგში, მხარს ვუჭერ სიმართლეს.

იმის თქმა მინდა, რომ თუ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა, ამაზე პასუხი უნდა აგოს მასმედიის კონკრეტულმა საშუალებამ. თუ დადასტურდა, ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას და, როგორც გახარიამ, ისე ხელისუფლებამ ამაზე პასუხი უნდა აგონ.

– მედიასაშუალებამ როგორ უნდა აგოს პასუხი?

– მასმედია, როდესაც ავრცელებს გარკვეულ ინფორმაციას, უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ წყაროს, უნდა ჩატარდეს ჟურნალისტური გამოძიება და ფაქტებით უნდა დადგინდეს ამა თუ იმ კონკრეტული პირის ბრალეულობა. მასმედიას ზოგადად ვამბობ, თორემ, შესაძლოა, პასუხი მოეთხოვოს კონკრეტულ ფიზიკურ პირს, ვთქვათ, იმას, ვინც ეს ინფორმაცია გააჟღერა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ვიღაც პოლიტოლოგი ან პოლიტიკოსი. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობაზე როცა ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს ბოდიშის მოხდა, თუ მან არასწორი ინფორმაცია გაავრცელა.

ყოველ შემთხვევაში, დასავლურ დემოკრატიულ სამყაროში ასე ხდება. ვიცით, რომ საქართველოში ხშირ შემთხვევაში ასე არაა. გავიხსენებ საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გავრცელებულ ჭორებს – ხან ორგანოებით ვაჭრობდა, ხან ადამიანებს აწამებდა და ა.შ.

– ლოგიკურად გავაგრძელოთ 20 ივნისისა და სააკაშვილის თემა. თქვენთვის, ვინც იმ აქციებზე იდექით, სააკაშვილის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადება მისაღები იყო და როგორ აფასებთ შსს-ს განცხადებას, რომ ეს დამატებითი გარემოებაა და მოკვლევას იწყებენ?

– მიხეილ სააკაშვილი არ მოუწოდებდა აქციის მონაწილეებისა და საზოგადოებისთვის ზოგადად, დაამხეთ ხელისუფლებაო. კი, ვნახე მისი ინტერვიუ ნიკა გვარამიასთან, მაგრამ იმ აქციების დროს მოწოდება, დაამხეთ ეს ხელისუფლებაო, არ ყოფილა. ის თვითონ არც ხელმძღვანელობდა აღნიშნულ აქციას. საერთოდ, ეს აქცია არც ყოფილა დაგეგმილი, უცებ მოხდა. მოგეხსენებათ, რომ 20 ივნისს ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენელი გავრილოვი ჩასვეს პარლამენტის სავარძელში, რასაც მოჰყვა ქალი პოლიტიკოსების პროტესტი პარლამენტში და მოსთხოვეს გავრილოვს, დაეტოვებინა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი. ეს არ ყოფილა დაგეგმილი, მით უმეტეს, ამას ვერ დაგეგმავდა უშუალოდ მიხეილ სააკაშვილი.

აქედან გამომდინარე, არანაირად არ დგინდება კონკრეტული ბრალეულობა, რომ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა ამ აქციას.

– რაც შეეხება მის განცხადებას, ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?

– ის არსად ამბობს, რომ ის ხელმძღვანელობდა იმ აქციას. მე არ ვეთანხმები მის იმ განცხადებასაც, სადაც ამბობს, რომ ცოტა დააკლდათ, თორემ ხელისუფლება დავმხობოდა. მომიტინგეები პარლამენტშიც რომ შეჭრილიყვნენ, ამით ხელისუფლება არ დაემხობოდა. 2003 წელს ეს მოხდა, მაგრამ მაშინ სხვა მოვლენასთან გვქონდა საქმე. გახსოვთ, მაშინ, 22 ნოემბერს, საპარლამენტო სესია ჩაშალა ოპოზიციამ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით და მეორე დღეს შევარდნაძე გადადგა თანამდებობიდან.

– სააკაშვილის განცხადებები პროცესსა და ოპოზიციის საქმეს ხომ არ აზარალებს?

– ძირითადად არა, მაგრამ ხანდახან არის რაღაც რადიკალიზმის ნიშნები მის განცხადებებში, თუმცა, საერთო ჯამში, ის ლაპარაკობს იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ქვეყანაში არსებობს „ქართული ოცნების“ პირობებში. გვესმოდა ტროლები, მის შესახებ რომ ავრცელებდნენ. ბოდიში მკითხველთან, მაგრამ იყო ასეთი სიყალბე, მაგალითად, როცა ამბობდნენ, რომ ვიღაცას ძუძუებს აჭამდა, ორგანოებით ვაჭრობდა და ა.შ.

როდესაც ამის წინააღმდეგი ვარ, არ მინდა, ასეთი ჭორების დონეზე ვილაპარაკოთ თუნდაც გახარიაზე, იმის მიუხედავად, რომ მხარს ვუჭერ სააკაშვილს და არ ვემხრობი გახარიას, მაგრამ სტანდარტი უნდა იყოს ერთნაირი. მე მინდა, საქართველოში არსებობდეს იმის კულტურა, რომ როცა ვრცელდება სხვადასხვა ინფორმაცია, ის ეფუძნებოდეს კონკრეტულ მტკიცებულებებსა და წყაროებს, ვისაც არ უნდა ეხებოდეს ეს. მე ვერ ვითამაშებ ორმაგი სტანდარტებით და, როდესაც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გავრცელდება რამე, აღვშფოთდები, ხოლო გახარიას წინააღმდეგ გავრცელებულ დეზინფორმაციას მხარს დავუჭერ. მინდა, ამის პოლიტიკური კულტურა არსებობდეს ქვეყანაში, თორემ იმას კი არ ვამტკიცებ, რომ გახარიაზე გავრცელებული ინფორმაცია, რომ ის ფულს ათეთრებდა, ტყუილია. არ ვიცი, ეს უნდა დადგინდეს.

თქვენ თქვით, რომ ხელისუფლება აცხადებს, სააკაშვილის განცხადებების საფუძველზე მოკვლევას დაიწყებენო. აქაც ორმაგ სტანდარტებთან გვაქვს საქმე. იმავე 7 ნოემბერსაც იყო მოწოდება ხელისუფლების დამთავრებისკენ. იმავე 26 მაისს იყო მოწოდება, რომ არ ჩაატარებინებდნენ აღლუმს და ხელისუფლება უნდა შეცვლილიყო. დღევანდელი ხელისუფლება ამას არ იმჩნევს და 20 ივნისის მოვლენებზე აცხადებს, რომ სახელმწიფო გადატრიალება იყო. ეს არის ორმაგი სტანდარტი, რაც ჩემთვის მიუღებელია.

> **„7 ნოემბერსაც იყო მოწოდება ხელისუფლების დამთავრებისკენ. იმავე 26 მაისს იყო მოწოდება, რომ არ ჩაატარებინებდნენ აღლუმს და ხელისუფლება უნდა შეცვლილიყო. დღევანდელი ხელისუფლება ამას არ იმჩნევს და 20 ივნისის მოვლენებზე აცხადებს, რომ სახელმწიფო გადატრიალება იყო. ეს მიუღებელია“**

შინაგან საქმეთა მინისტრმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი განსაკუთრებული დამსახურებისთვის დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს, თეიმურაზ მღებრიშვილს, გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და განსაკუთრებული დამსახურებისთვის I ხარისხის მედლით დააჯილდოვა.

თეიმურაზ მღებრიშვილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელად 2018 წლის ბოლოს დაინიშნა. 2019 წლიდან სამსახური კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში დაბრუნდა.

სისტემური განახლების პროექტის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების სამსახურში ინფრასტრუქტურული რეფორმა გრძელდება. საგანგებო სიტუაციების სამსახურს 30 ახალი, გერმანული წარმოების, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახანძრო მანქანა გადაეცა, რომლებიც თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ბორჯომში, ზუგდიდში, რუსთავსა და სიღნაღში განაწილდა.

აქტიურად გრძელდება სოციალური პროექტებიც, რომლების ფარგლებშიც, მიმდინარე წელს საგანგებო სიტუაციის მართვის სამსახურის თანამშრომლებს ხელფასი გაეზრდებათ. ასევე, მოხდება მეხანძრე-მაშველების კვებით უზრუნველყოფა.

თეიმურაზ მღებრიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრს მხარდაჭერისა და გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

ბიძინა ჩაჩხიანი: „არ ვთვლი, რომ ქვეყანა დავანგრიე“

პროკურორი გამყრელიძე: „ბიძინა ჩაჩხიანს განზრახ მკვლელობის ბრალდება მოეხსნა“

– ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა და ტარება არის დასჯადი და არა გლუვლულიანი თოფის – ბრალდებულს შეგვიძლია ვკითხოთ, თუ როგორ მოახერხა მცირე დროში, სანადირო თოფიდან გაესროლა დაახლოებით 15-ჯერ.

ამის შესახებ კლუბ „ბასიანთან“ 3 პირის დაჭრის საქმეზე დაკავებული ბიძინა ჩაჩხიანის საქმის პროკურორმა ლაშა გამყრელიძემ განაცხადა.

პროცესზე, რომელიც გუშინ, 14 იანვარს, გაიმართა, მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ დაკავებულს ბრალი წარედგინა არა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლებით, არამედ, სხვა მუხლებით და განმარტა, თუ რატომ მოიხსნა იარაღის ნაწილი.

– გამოძიება დაიწყო სსკ-ის 19-109-ე მუხლის მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტის და 236-ე მესამე და მეოთხე ნაწილებით, თუმცა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოიკვეთა სხვა დანაშაულის შემადგენლობა, შესაბამისად, მოხდა შესაბამისი კვალიფიკაციით ბრალის წარდგინება. სისხლის სამართლებრივი კოდექსით დასჯადია ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა და ტარება.

ბრალდებულის იარაღი, რომელმაც განაცხადა, ნებართვა ჰქონდა, ოფიციალურ ინფორმაციას ამ ინფორმაციის საფუძველზე, რაც არსებობს პირველადი სახით. შემოსული იყო შეტყობინება, რომელზეც სავალდებულო იყო რეაგირება და ის, რომ დაწყებულიყო გამოძიება, – განაცხადა ლაშა გამყრელიძემ.

ბრალდებულის იარაღი, რომელმაც განაცხადა, ნებართვა ჰქონდა, ოფიციალურ ინფორმაციას ამ ინფორმაციის საფუძველზე, რაც არსებობს პირველადი სახით. შემოსული იყო შეტყობინება, რომელზეც სავალდებულო იყო რეაგირება და ის, რომ დაწყებულიყო გამოძიება, – განაცხადა ლაშა გამყრელიძემ.

ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა-ტარებისა და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლებით, არამედ, სხვა მუხლებით და განმარტა, თუ რატომ მოიხსნა იარაღის ნაწილი.

– გამოძიება დაიწყო სსკ-ის 19-109-ე მუხლის მესამე ნაწილის ა ქვეპუნქტის და 236-ე მესამე და მეოთხე ნაწილებით, თუმცა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოიკვეთა სხვა დანაშაულის შემადგენლობა, შესაბამისად, მოხდა შესაბამისი კვალიფიკაციით ბრალის წარდგინება. სისხლის სამართლებრივი კოდექსით დასჯადია ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა და ტარება.

ბრალდებულის იარაღი, რომელმაც განაცხადა, ნებართვა ჰქონდა, ოფიციალურ ინფორმაციას ამ ინფორმაციის საფუძველზე, რაც არსებობს პირველადი სახით. შემოსული იყო შეტყობინება, რომელზეც სავალდებულო იყო რეაგირება და ის, რომ დაწყებულიყო გამოძიება, – განაცხადა ლაშა გამყრელიძემ.

ბრალდების მხარე ედავება ბრალდებულს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას დამამძიმებელ გარემოებებში და ასევე ედავება ხულიგნობას, – აღნიშნა გამყრელიძემ.

აღნიშნული ბრალდება 9-დან 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურორმა ასევე უპასუხა კითხვას, თუ რატომ ვერ მოხდა საბრძოლო იარაღისა და სანადირო თოფის გარჩევა პირველადი დათვალიერებისას.

– ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული იარაღი არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. საგამოძიებო ორგანო გამოძიებას აწარმოებს და ვალდებულია, გამოძიება დაიწყოს

პროცესზე სიტყვა თქვა ბრალდებულმა ბიძინა ჩაჩხიანმა.

– არსად მიმალვას არ ვაპირებ. სახლში 80 წლის მამა მყავს. არ ჩავთვალე, რომ ქვეყანა დავანგრიე. იმ დღეს სანადიროდ უნდა წავსულიყავი, რაც მიპოვეს, ჩემი კუთვნილი სანადირო ინვენტარია, ძაღლიც მყავდა დაკავების დროს.

ყველაფრის რისკი არსებობს, რომ ადამიანმა რამე გააკეთოს. არსებობს რაღაცები, რაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ ახლა ისეთი მდგომარეობა მაქვს სახლშიც, რომ არსად მიმალვას არ ვაპირებ. ბავშვებს რომ ვნახავ, ბოდიშს მოვუხდი, იმათ საერთოდ არაფერს ვერჩოდი, საერთოდ არ დამინახავს, – განაცხადა ჩაჩხიანმა, რასთან დაკავშირებითაც, საქმის პროკურორმა უპასუხა, რომ „ღამის 3 საათზე აბაშიძის ქუჩაზე არ ნადირობენ“.

ბიძინა ჩაჩხიანმა 12 იანვარს კლუბ „ბასიანის“ შესასვლელთან ცეცხლსასროლი იარაღიდან 15-ჯერ განახორციელა გასროლა, რის შედეგადაც ჭრილობები მიაყენა 3 პირს და ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბიძინა ჩაჩხიანმა მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე, მისივე საცხოვრებელ სახლთან დააკავეს. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის ცეცხლსასროლი იარაღი, 6 ცალი დანა და 23 ცალი ვაზნა.

გუშინდელ პროცესზე ბიძინა ჩაჩხიანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა გამოაცხადა.

ილია ჯიშკარიანი: „თამთა თოდაძე პახმელიაზე არ იყო?“

გუშინ, 14 იანვარს, გაიმართა საკრებულოს ბრალდებული დეპუტატის, ილია ჯიშკარიანის, სასამართლო პროცესი.

მასზე გამომძიებელი ვიქტორ მახარაძე დაკითხეს.

ჩვენებაში გამომძიებელი თამთა თოდაძის გამოკითხვასთან დაკავშირებით საუბრობს და ამბობს, რომ თამთა თოდაძე შემთხვევის დღეს აღელვებულ მდგომარეობაში იყო.

– პახმელიაზე“ არ იყო? – ჰკითხა ილია ჯიშკარიანმა გამომძიებელს, რასთან დაკავშირებითაც მოსამართლემ ბრალდებულს სთხოვა, თავი შეეკავებინა.

ილია ჯიშკარიანის საქმის პროკურორის, თამარ იაკობიძის, განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებლის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს დაცვის მხარე უდავოდ სცნობდა, ის მაინც დაკითხეს.

– გამომძიებლის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით გარკვეული კითხვის ნიშნები ჰქონდა დაცვის მხარეს. მიუხედავად აღნიშნულისა, დაცვის მხარე მიიჩნევდა, რომ უდავოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული მის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები. ჩავთვალეთ, რომ კითხვის ნიშნები არ უნდა ყოფილიყო საგამოძიებო მოქმედების ირგვლივ.

გამომძიებელმა დეტალურად ისაუბრა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რატომ ათვალიერებდა შემთხვევის ადგილს გვიან, გამოძიების თავისებურება ახსნა და ახსნა ის გარემოება, რომ თამთა თოდაძის გამოკითხვა აუცილებელი იყო.

როგორც გამომძიებელმა ისაუბრა, მას შემდეგ, რაც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება, გამოიკითხა თამთა თოდაძე, რის შემდეგაც მასთან ჩატარდა ტანისამოსის ამოღება, ამის შემდეგ თამთა თოდაძის მონაწილეობით ჩატარდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ვინაიდან მისი მონაწილეობა აუცილებელი იყო. თუმცა, გამომძიებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შემთხვევის ადგილი დაცული იყო იმ პერიოდში, რომელშიც თამთა თოდაძესთან პოლიციაში საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა, – განაცხადა იაკობიძემ.

პროცესის შემდეგ კომენტარი გააკეთა ილია ჯიშკარიანის ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა.

– გამომძიებელმა დაადასტურა, რომ მას შემდეგ, რაც თამთა თოდაძემ 112-ში დარეკა და თავისი პოზიცია დააფიქსირა, შემთხვევის ადგილის დაცვა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი, დაზარალებული მხარე აპელირებდა, თითქოს, საგამოძიებო მოქმედებები გვიან ჩატარდა, – განაცხადა მან.

ადვოკატის განმარტებით, საგამოძიებო ორგანოს თამთა თოდაძე ალკოტესტზე უნდა შეემოწმებინა, რაც მას არ გაუკეთებია.

– გამომძიებელს კითხვა დავუსვით, ჩაუტარდა თუ არა, თამთა თოდაძეს ალკოტესტი, ვინაიდან მან თავად განაცხადა, რომ ის ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მნიშვნელობა არ აქვს, ალკოჰოლი რამდენი მიიღო მან, საგამოძიებო ორგანოს ვალდებულება გააჩნია დასაკითხი მოწმე შეამოწმოს, რამდენად ადეკვატურია ის, – განაცხადა კუბლაშვილმა.

ისნის რაიონის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ ილია ჯიშკარიანს, 2019 წლის 30 სექტემბერს, მისი წარმომადგენლობითი ბიუროს სპეციალისტის, თამთა თოდაძის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისა და ძალადობის ფაქტზე ბრალდება წარედგინა.

ჯიშკარიანს აღკვეთის ღონისძიების სახით 10.000-ლარიანი გირაო შეეფარდა. ამას გარდა, მას აეკრძალა თანამშრომლებთან კომუნიკაცია, რომლებიც საქმეზე მოწმის სახით უნდა დაიკითხონ.

ქავთარაძეზე სამშენებლო მასალების მაღაზია დაიწვა

ზარალი 400.000 ლარია

თბილისში, 13 იანვარს, ღამით, ქავთარაძის №3-თან მდებარე სამშენებლო მასალების მაღაზიაში ხანძარი გაჩნდა.

ხანძრის შედეგად ზარალი დაახლოებით 400.000 ლარამდეა. ამის შესახებ ჟურნალისტებს ერთ-ერთი დამწვარი მაღაზიის მფლობელმა ნიკა ლოლაძემ განუცხადა.

ნიკა ლოლაძის თქმით, მისთვის უცნობია, რამ გამოიწვია ხანძარი. მისივე განცხადებით, მაღაზიაში სამშენებლო მასალებს ყიდდა.

– ჩემი მაღაზია დაიწვა, ერთს გადაედო, მაგრამ ის გადაარჩინეს. დაახლოებით 400.000 ლარის ზარალია. მაღაზია დაზღვეულია. არ ვიცი, რამ გამოიწვია ხანძარი, ვერ გეტყვით. მიზანმიმართულად არ მგონია გაჩენილიყო. ხანძარი ჩააქრეს, მაგრამ იქ არაფერი არ არის. ერთი მაღაზია იყო, 160 კვადრატული მეტრის ფართობის, – განაცხადა ნიკა ლოლაძემ.

როგორც ჟურნალისტებს თბილისის სახანძრო სამაშველო სამსახურის ხელმძღვანელმა ოთარ კერესელიძემ განუცხადა, ხანძრის შედეგად დამწვარია დაახლოებით 350-400 კვადრატული მეტრის ფართობი.

მისივე ინფორმაციით, ცეცხლი სამშენებლო მასალას გაუჩნდა.

კერესელიძის თქმით, რამ გამოიწვია ხანძარი, უცნობია. მისივე განმარტებით, ოპერატიული მუშაობის შედეგად, ხანძარი სხვა მაღაზიებზე არ გავრცელდა.

– ქავთარაძის 3 ნომერში ხანძარი გაუჩნდა მაღაზიას, სადაც ინახებოდა სამშენებლო მასალები. ხანძრის გავრცელების საფრთხე იყო, რადგან გვერდზე, ახლოს სხვა მაღაზიებიც არის და ასევე არის ბენზინგასამართი 2 სადგური. ადგილზე ოპერატიულად მობილიზდა 14 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი, – განაცხადა კერესელიძემ.

საქართველოს მოქალაქემ აზერბაიჯანის საზღვარზე ქართველი მესაზღვრე მძევლად აიყვანა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და მძევლად ხელში ჩაგდების ბრალდებით, საქართველო-აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრის შეუთანხმებელ მონაკვეთზე, საქართველოს მოქალაქე გ.ი. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გუშინ, 14 იანვარს, საქართველოს მოქალაქე გ.ი. იმყოფებოდა სასაზღვრო ზონაში.

„მან ცეცხლსასროლი იარაღისა და ხელყუმბარის გამოყენების მუქარით, ქართველი მესაზღვრე აიძულა, გადაადგილებულიყვნენ საზღვრის შეუთანხმებელი მონაკვეთის მიმართულებით. ინციდენტის განმავლობაში გ.ი.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმეჯერ გაისროლა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების ოპერატიული და ეფექტიანი მუშაობის შედეგად, სიტუაცია დროულად განიმუხტა. ამ დროისთვის ინციდენტი სრულად ამოწურულია.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებითა და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ეფექტიანი თანამშრომლობისთვის აზერბაიჯანელ კოლეგებს მადლობა გადაუხადა“, – ნათქვამია განცხადებაში.

თბილისში, გაგარინზე, მანქანა ტაქსს შეეჯახა

1 ადამიანი დაიღუპა

თბილისში, გაგარინის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა. დაშავებულია 1 პირი.

არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და ტაქსი შეეჯახნენ. თვითმხილველების განცხადებით, ერთ-ერთი ავტომობილი მაღალი სიჩქარით მოძრაობდა, რომლის მძღოლიც სავარაუდოდ ნასვამი იყო.

როგორც საქართველოს პირველ არხს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით დაიწყო, რაც ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვას გულისხმობს.

დაკავებულია ერთ-ერთი ავტომობილის მძღოლი.

საშინელი ავარია რუსთავში

2 ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა

საშინელი ავარია მოხდა რუსთავში, იაღლუჯის ფერდობთან.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 30 წლამდე 2 მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით მერსედესის მარკის ავტომობილის მძღოლმა რუსთავი-წითელი ხიდის მაგისტრალზე მოძრაობისას საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, რამდენჯერმე ამოტრიალდა და ბეტონის ძელთან გაჩერდა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო-სამედიცინო, სამაშველო სამსახურისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

ირანის პრეზიდენტი: „თვითმფრინავის ჩამოგდება უპატიებელი შეცდომაა“

– ირანი დასჯის ყველა პირს, რომელიც უკრაინული სამგზავრო თვითმფრინავის შეცდომით ჩამოგდებაზეა პასუხისმგებელი, – ამის შესახებ ირანის პრეზიდენტმა, ჰასან როუჰანიმ, სატელევიზიო მიმართვის დროს განაცხადა.

მისი თქმით, ეს „ტრაგიკული მოვლენა“ ძირფესვიანად უნდა იყოს გამოძიებული.

– ეს იყო უპატიებელი შეცდომა. მხოლოდ ერთი პირი ვერ იქნება პასუხისმგებელი თვითმფრინავის ჩამოგდებაზე, – განაცხადა როუჰანიმ.

მისივე თქმით, ირანმა უნდა დაარწმუნოს ყველა, რომ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდება.

ირანში უკრაინის თვითმფრინავის ჩამოგდების ბრალდებით რამდენიმე პირი დააკავეს.

ამის შესახებ ქვეყნის სასამართლო სისტემის სპიკერმა გოლამჰოსეინ ისმაილმა განაცხადა.

ისმაილს არ დაუკონკრეტებია არც ვინაობა და არც ის, თუ რამდენი პირია დაკავებული.

ბოინგ 737, რომელიც თეირანი-კიევის რეისს ასრულებდა, ირანის დედაქალაქის აეროპორტთან 8 იანვარს ჩამოვარდა, რის შედეგადაც ბორტზე მყოფი 176-ვე პირი დაიღუპა.

პლახოტნიუკი ამერიკული სანქციების ქვეშ მოექცა

ოლიგარქი პლახოტნიუკი, რომელიც წლების მანძილზე მოლდოვის არაფორმალური მმართველი იყო, ამერიკული სანქციების ქვეშ მოექცა.

პლახოტნიუკს ბრალი ედება კორუფციასა და მოლდოვის დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტებაში. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ ამ მოქმედებამ მოლდოვის დამოუკიდებლობას საფრთხე შეუქმნა.

– პლახოტნიუკის სანქციების ქვეშ მოქცევა კიდევ ერთხელ უჩვენებს, თუ რაოდენ შეურიგებელია აშშ კორუფციისა და ოლიგარქებისადმი, – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ.

სანქციების ქვეშ პლახოტნიუკის რეჟიმის კიდევ რამდენიმე ჩინოვნიკი მოექცა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერც ისინი, ვერც პლახოტნიუკი უახლოეს ხანებში ამერიკულ ვიზას ვერ მიიღებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ევროკავშირი კლიმატურ ცვლილებებთან საბრძოლველად 1 ტრილიონ ევროს გამოყოფს

ევროკავშირი გეგმავს, თავისი ბიუჯეტის მეოთხედი კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლისაკენ მიმართოს.

ახალი სქემით, რომელიც ორგანიზაციამ შეიმუშავა იმისთვის, რომ ეკონომიკა მომდევნო 10 წლის მანძილზე უფრო ეკომეგობრული გახდეს, ევროკავშირი 1 ტრილიონ ევროს გამოყოფს.

ევროპის საინვესტიციო გეგმა ევროკავშირის ბიუჯეტიდან და კერძო სექტორიდან დაფინანსდება. მისი მიზანია 2050 წლისთვის ბლოკის წევრები ნახშირბად-ნეიტრალური ქვეყნები გახდნენ.

ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ვონ დერ ლეიენმა თავის პრიორიტეტად კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა დაასახელა.

ქალმა ტყეში ნაპოვნ ჩონჩხში საკუთარი შვილი ამოიცნო

ტაილანდის უდონტხანის პროვინციის პხენის რაიონში ტყეში წასულმა ქალმა მამაკაცის ჩონჩხი იპოვა.

62 წლის კამი ნოკმუანგი 8 ივნისს წავიდა ტყეში კერძის მოსამზადებლად ინგრედიენტების მოსაგროვებლად, რა დროსაც ხეზე ნეილონის თოკი შენიშნა. ის ახლოს მივიდა და მასზე ჩამოკიდებული ადამიანის ჩონჩხი აღმოაჩინა.

აღმოჩენისგან გაოგნებულმა ნოკმუანგმა მომხდარის შესახებ სოფლის ხელმძღვანელს უამბო, რომელმაც შემდეგ პოლიციას შეატყობინა. სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ ნაპოვნი ადამიანი დაახლოებით ოთხი ან ხუთი თვის წინაა დაღუპული. მას შავი ფერის პერანგი ეცვა.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ქსოვილების ნიმუშებს სწავლობს, რათა დაღუპულის ვინაობის დადგენა მოხდეს. ნოკმუანგი კი თვლის, რომ ეს მისი შვილის, 32 წლის სარავუტა უპალის ჩონჩხია, რომელსაც დეპრესია ტანჯავდა და სახლიდან დაახლოებით ოთხი-ხუთი თვის წინ წავიდა. მისი თქმით, ჩონჩხზე ნაპოვნი შავი ფერის პერანგის ნარჩენები მისი შვილის ტანსაცმელს ჰგავს.

ლატარიის სამგზის გამარჯვებულმა საკუთარი წარმატების საიდუმლო გაამხილა

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა ლატარიის სამგზის გამარჯვებულმა საკუთარი წარმატების საიდუმლო გაამხილა.

53 წლის მამაკაცი, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, იხსენებს, როგორ შევიდა 6 იანვარს მაღაზიაში და 10 დოლარად მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა. მან იქვე გადაფხიკა დამცავი შრე და აღმოაჩინა, რომ 100 ათასი დოლარი მოიგო.

ამერიკელმა აღიარა, რომ მას პირველად არ გაუმართლა მომენტალურ ლატარიაში. დაახლოებით ათი წლის წინ ის ორჯერ გახდა გათამაშების გამარჯვებული. მისი თქმით, გარშემომყოფნი ხშირად ცდილობენ მისი წარმატების საიდუმლოს გაგებას.

– მე მათ ვეუბნები, რომ უბრალოდ მიმართლებს და მეტი არაფერი, – ამტკიცებს მამაკაცი, – თუმცა ამავე დროს მე მათ ვურჩევ, რომ ითამაშონ მხოლოდ იმ ფულით, რომლის დაკარგვაც არ დაეწანებათ.

ლატარიის გამარჯვებული მოგებული ფულით ვალების გასტუმრებას, ხოლო დარჩენილი თანხის სამომავლოდ გადადებას გეგმავს.

კოლეგის მიერ ბუტერბროდით მოწამლული მამაკაცი ოთხწლიანი კომის შემდეგ გარდაიცვალა

გერმანიის ქალაქ შლოს-ჰოლიტე-შტუკენბროკში მდებარე კომპანიის თანამშრომელმა კოლეგის მიერ მოწამლული ბუტერბროდის ჭამის შემდეგ ოთხი წელი კომაში გაატარა და ახლახან გარდაიცვალა.

მომწამვლელი, რომელიც კლაუს ო-ს სახელითაა ცნობილი, რამდენიმე წლის განმავლობაში კოლეგების საკვებში ვერცხლის წყალს, ტყვიას და სხვა ნივთიერებებს ურევდა. შედეგად ერთ-ერთი მათგანი კომაში აღმოჩნდა, ხოლო ორმა თირკმლების სერიოზული დაზიანებები მიიღეს.

მომხდარი მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც ლითონის დეტალების მწარმოებელი კომპანიის თანამშრომელმა საკუთარ საჭმელში თეთრი ფხვნილი შენიშნა. მოგვიანებით ნანახი იქნა სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, რომლებზეც ჩანს, თუ როგორ უყრის კლაუს ო. ბუტერბროდებში კოლეგებს საეჭვო ნივთიერებებს. ის 2018 წელს დააპატიმრეს.

მისი სახლის გაჩხრეკისას აღმოაჩინეს ვერცხლისწყალი, ტყვია, კადმიუმი და ტყვიის აცეტატი. დანაშაულის მოტივი უცნობი დარჩა. გამოძიების ვარაუდით, მას სურდა კოლეგებზე გამოეცადა ნივთიერებების მოქმედება.

გასული წლის მარტში სასამართლომ მოწამვლაში ბრალდებული დამნაშავედ ცნო და მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. კლაუს ო. განაჩენის გასაჩივრებას ცდილობდა, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, რომ განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ხუთშაბათს 9 იანვარს სასამართლომ კომაში მყოფი 26 წლის მამაკაცის გარდაცვალება, რომელსაც კლაუს ო-მ ბუტერბროდში ვერცხლისწყალი შეურია, დაადასტურა.

ზვიგენების მიერ შეჭმული მყვინთავის მაგივრად სერფერი იპოვეს

ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროს მაშველები დიდი თეთრი ზვიგენის ყბებში დაღუპულ 57 წლის მყვინთავს ეძებდნენ, რა დროსაც მისი სამი თანამემძე აღმოაჩინეს, რომლებიც 21 წლის მამაკაცის სხეულს ჭამდნენ.

5 იანვარს 57 წლის გერი ჯონსონი და მისი მეუღლე უესტ-ბიჩის მახლობლად კუნძულ კალის სანაპიროს სიახლოვეს წყალქვეშ ყვინთვით იყვნენ დაკავებულები, როდესაც მათ დიდი თეთრი ზვიგენი დაესხა თავს. ჯონსონის მეუღლემ დახმარება ითხოვა და ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, ჯონსონი კი დაიღუპა. სამძებრო ოპერაცია რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ჯონსონი ქალაქ ესპერანსას მყვინთავთა კლუბის თავმჯდომარე იყო. თავდასხმის მომენტში მას ზვიგენებისგან თავდაცვის მოწყობილობა ეკეთა, მაგრამ გამორთული ჰქონდა.

ჯონსონის ძებნის დროს მაშველებმა სამი ზვიგენი შენიშნეს, რომლებიც ადამიანის სხეულის ჭამით იყვნენ დაკავებულები. როგორც გაირკვა 2 იანვარს ქალაქ პერტას მკვიდრი 21 წლის ერიკ ბირიგიტი ტვაილაიტ-ბიჩის პლაჟზე მეგობრებთან ერთად სერფინგით იყო დაკავებული და ის წყალში ჩავარდა. მეგობრებმა მისი ამოყვანა სცადეს, მაგრამ დინება საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა და ის ოკეანეში გაიტაცა. პოლიციამ მისი ძებნა დაიწყო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჯონსონის ძებნის დროს მისი სხეულის ნარჩენებსღა მიაგნეს.

მეთევზემ ანკესით 159-კილოგრამიანი თევზი დაიჭირა

ამერიკის ფლორიდის შტატის სანაპირო წყლებში მეთევზე ჯეისონ ბოილმა ადამიანის ზომის 159-კილოგრამიანი თევზი დაიჭირა.

2019 წლის 31 დეკემბერს ბოილმა Hyporthodus nigritus-ს სახეობის გიგანტური გრუპერის ფოტოსურათი ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

– 2019 წლის შესანიშნავი დასასრულია!!! – დაწერა მეთევზემ სურათის კომენტარში.

უწვეულო ნანადირევით ფლორიდის ველური ბუნებისა და მეთევზეობის კვლევითი ინსტიტუტი დაინტერესდა. ექსპერტებმა ბოილის ფოტო თავის ნადავლთან ერთად ინსტაგრამში ინსტიტუტის ოფიციალურ გვერდზე განათავსეს. მათ აღნიშნეს, რომ გრუპერი ანკესით დაახლოებით 180 მეტრის სიღრმეზე 29 დეკემბერს დაიჭირეს. ბიოლოგებმა დაასკვნეს, რომ თევზი დაახლოებით 50 წლისაა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

მიულერი უკმაყოფილოა

ტომას მიულერის 20-წლიანი მიუნხენური კარიერა, შესაძლოა, დასრულდეს. ბავარიული კლუბის შემტევმა გერმანულ მედიასთან სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. 30 წლის მიულერი „რეკორდმაისტერს“ 2000 წელს შეუერთდა, პროფესიონალური დებიუტი კი 8 წლის შემდეგ ჰქონდა.

გერმანულ გიგანტთან ერთად მან 8 ბუნდესლიგა, 5 გერმანიის თასი და 2013 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

ბოლო 2 სეზონია, მიულერის როლი გუნდში საგრძნობლად შემცირდა და მას თამაში უფრო ნაკლებად უწევს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის თავკაც ჰანს ფლიკს ფეხბურთელის დატოვება სურს, მიულერის მომავალი „ალიანს არენაზე“ მაინც ბუნდოვანია.

ტომას მიულერი:

– ამჟამად მხოლოდ იმაზე ვარ ფოკუსირებული, რომ სეზონი რაც შეიძლება წარმატებული იყოს. რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, ამ საკითხზე კლუბის ხელმძღვანელობას ზაფხულში დაველაპარაკები და ვარიანტებს განვიხილავ.

შემტევმა „რეკორდმაისტერთან“ კონტრაქტი 2015 წელს გაახანგრძლივა და კლუბთან ხელშეკრულება კიდევ 18 თვით აკავშირებს.

მიუხედავად იმისა, რომ მიულერიც და კლუბის ხელმძღვანელობაც მოლაპარაკების დასაწყებად მზად არიან, არის კონტრაქტის დეტალები, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაიხედოს.

– ჩემი მოთხოვნები მაქვს, ისევე, როგორც ხელმძღვანელობას. ჯერჯერობით არ ვიცი, დაემთხვევა თუ არა ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს.

30 წლის ფეხბურთელმა მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგასა და ჩემპიონთა ლიგაზე 13 მატჩი ჩაატარა, 4 გოლი გაიტანა და 12 საგოლე პასი გააკეთა.

ბაიერნის დატოვებასთან ახლოს არის ჟერომ ბოატენგი. ფეხბურთელი ლონდონის არსენალსა და მილანს სურთ.

იმის მიუხედავად, რომ საიმონ კიაერის „სან სიროზე“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია, „როსონერისთვის“ ცენტრალური მცველის დამატება მაინც დღის წესრიგში რჩება, ბოატენგი კი მისი ერთ-ერთი მთავარი ვარიანტია.

თუმცა არსენალს ამ ეტაპზე უპირატესობა აქვს, რადგან მისი წარმომადგენლები ბოატენგს უკვე დაეკონტაქტნენ, იტალიელებს კი ჯერჯერობით მსგავსი ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

31 წლის მცველს ბაიერნის დატოვება იანვარშივე სურს, კლუბი კი სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს ითხოვს.

ბარსელონას კიკე სეტიენი გაწვრთნის

გუნდის ახალი მწვრთნელი მესისა და ჭადრაკის ფანია

ბარსელონამ გამოაცხადა, რომ ერნესტო ვალვერდე გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარ არის. 55 წლის ბასკი სპეციალისტის კონტრაქტის ვადა 5 თვეში სრულდებოდა, თუმცა მას კარისკენ ვადაზე ადრე მიუთითეს. ვალვერდეს ესპანეთის სუპერთასის ნახევარფინალში ატლეტიკოსთან თითქმის მოგებული მატჩის დათმობა (2:3) აღარ ეპატია.

ერნესტო ვალვერდეს ხელმძღვანელობით ბარსელონამ 145 მატჩი ჩაატარა: 97 მოგება, 32 ფრე, 16 მარცხი. ბურთების სხვაობა – 339:128.

ვალვერდეს მწვრთნელობისას ბარსამ 4 ტიტული მოიგო: 2 ლა ლიგა, თითო კოპა დელ რეი და სუპერკოპა.

ვალვერდეს ყველაზე დიდ მინუსად ჩემპიონთა ლიგაში განცდილ მარცხებს თვლიან: 2018 წელს მეოთხედფინალში რომას 4:1 მოუგო და შემდეგ ეტაპზე გასვლა თითქმის განაღდებული ჰქონდა, მაგრამ განმეორებით შეხვედრაში 0:3 დამარცხდა. 2019 წლის ნახევარფინალში კი ლივერპულს შინ 3:0 მოუგო, თუმცა, მეორე მატჩი 0:4 დათმო.

ახალი მწვრთნელი 61 წლის კიკე სეტიენია. იმდენად უნდოდა ბარსას ხელმძღვანელობას მწვრთნელ ერნესტო ვალვერდეს გამოცვლა, რომ ხავის, რონალდ კუმანისა და მაურისიო პოჩეტინოს უარის შემდეგ სხვა გზა რომ აღარ დარჩა, დროებით უმუშევარ სეტიენს მიადგა და 2022 წლის ზაფხულამდე გაუფორმა კონტრაქტი.

სეტიენი სანტანდერშია დაბადებული და იქაური რასინგის ღირსებას იცავდა. ამპლუით ნახევარმცველს, ატლეტიკოში, ლოგრონესსა და ლევანტეშიც უთამაშია. ესპანეთის ნაკრებში 3 მატჩში ჩაატარა. 1986 წელს მექსიკაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც კი წაიყვანეს, მაგრამ მოედანზე არ შეუშვეს.

ფეხბურთელის კარიერის დასრულების მერე მშობლიურ რასინგს, პოლიდეპორტივოს, ეკვატორული გვინეის ნაკრებს, ლოგრონესს, ლუგოს, ლას პალმასსა და ბეტისს ედგა სათავეში.

სევილიური გუნდი კიკემ 2017 წლის მაისში ჩაიბარა. იმ სეზონში ლა ლიგაში მე-6 ადგილი დაიკავეს და ევროპა ლიგაზე გავიდნენ. 2019 წელს ბეტისმა პრიმერა მე-10 პოზიციაზე დაასრულა, რის გამოც მოხსნეს და მის ნაცვლად ხუანდე რამოსი დანიშნეს.

სეტიენის სამწვრთნელო ფილოსოფია ბურთის ფლობაზეა აგებული. 2017 წლის შემოდგომაზე სეტიენის ბეტისმა რეალი 1:0 დაამარცხა, 2018 წლის სექტემბერში ლეგანესთან მატჩში ლა ლიგაში ბურთის ფლობის რეკორდი დაამყარა (82.5%), 2018 წლის ნოემბერში „კამპ ნოუზე“ ბარსელონას 4:3 სძლია, ხოლო 2019 წლის მაისში რეალს ისევ მოუგო, ამჯერად – 2:1.

სეტიენი ყოველთვის იხსენებს შეხვედრას, როდესაც რასინგის შემადგენლობაში ბარსელონას დაუპირისპირდა, რომელსაც იოჰან კრუიფი ედგა სათავეში. 90 წუთი ისე ირბინა, რომ ბურთს ახლოს არ მიაკარეს და აღფრთოვანებულს აღმოხდა:

– ეს შესანიშნავია! მინდა ასეთი გუნდის წევრი ვიყო. კიდევ უფრი მსურს გავიგო, ამას როგორ ახერხებენ. როგორ შეიძლება ბურთს სულ აკონტროლებდნენ და მეტოქეს სულ არბენინებდნენ?

კიკე ასევე ჭადრაკის ფანია. უთამაშია კარიაკინის, კრამნიკისა და კასპაროვის წინააღმდეგ. ჭადრაკს ფეხბურთს ადარებს და ბევრ საერთოს ხედავს. მას უყვარს მესი. როდესაც გასული წლის მარტში ლეომ მის ბეტისს 2 გოლი გაუტანა, სევილიურმა პუბლიკამ კი ოვაციები გაუმართა, სეტიენმა უძვირფასესი ფეხბურთელი უწოდა.

კიკე სეტიენმა ახალ გუნდთან ერთად უკვე ჩაატარა პირველი ვარჯიში და მცირე კომენტარიც გააკეთა.

სეტიენის თქმით, ის ბარსელონას შემტევ ფეხბურთს ათამაშებს და მოუთმენლად ელის პირველ შეხვედრას:

– ბარსელონა ყოველთვის შემტევ ფეხბურთს თამაშობდა და ჩემი სამწვრთნელო ფსიქოლოგიაც სწორედ ასეთია. მადლობას ვუხდი ბარსელონას ნდობისთვის და იმედი მაქვს, ერთად ბევრ წარმატებას მივაღწევთ.

ბითაძე 4 წუთით ათამაშეს



გოგა ბითაძის ინდიანა პეისერსმა უშუალო კონკურენტ ფილადელფიას უმასპინძლა და 101:95 დაამარცხა.

ქართველმა ცენტრმა მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და საერთო ჯამში პარკეტზე 4 წუთი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ბითაძემ 2 ქულა, 1 პასი და 1 მოხსნა მოაგროვა, ხოლო ბურთი ერთხელ დაკარგა.

ბითაძის კონკურენტმა დომანტას საბონისმა 32 წუთში 10 ქულა, 16 მოხსნა და 3 პასი მიითვალა, ხოლო მაილს ტერნერმა 33 წუთში 14 ქულა, 10 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. მალკომ ბროგდონმა და თიჯეი უორენმა 21-21 ქულა ჩააგდეს.

შეხვედრაში ყველაზე მეტი, 24 ქულა ფილადელფიელმა ბენ სიმონსმა მიითვალა, რომელმაც თავის მონაგარს 14 მოხსნა და 3 პასიც მიუმატა.

ამ მოგებით ინდიანა აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზე გადავიდა და ადგილი გაუცვალა ფილადელფიას. ამ დროისთვის პეისერსს 25 მოგება და 15 წაგება აქვს და ფილადელფიაზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

ბითაძის გუნდი მომდევნო მატჩს სტუმრად მინესოტასთან გამართავს.

კეინის ევროპის ჩემპიონატზე თამაში საეჭვოა

დიდი შანსია, 2020 წელს გასამართ ევროპის ჩემპიონატს ერთი ვარსკვლავი დააკლდეს. ეს ჰარი კეინია, რომელმაც უმძიმესი ტრავმა მიიღო.

ტოტენჰემის 26 წლის ფორვარდმა მარცხენა ბარძაყის კუნთი პრემიერლიგის 21-ე ტურში, საუთჰემპტონთან დაპირისპირებისას გაიწყვიტა და ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. თავდაპირველად იუწყებოდნენ, რომ კეინი ვარჯიშს აპრილში განაახლებდა, თუმცა მოურინიოს გადაჭრით რამის თქმა უჭირს.

ჟოზე მოურინიო:

– ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შესაძლებელია. ჰარისთან დაკავშირებით სიახლე არ გვაქვს და, თუკი მის შესახებ ყოველ ჯერზე შემეკითხებით, პასუხი ერთნაირი მექნება. ვვარაუდობთ, რომ ის აპრილის შუა რიცხვებამდე დაგვაკლდება ან აპრილის ბოლომდე, ან მაისის ბოლომდე, ან მომდევნო სეზონამდე, არ ვიცი.

თუ ყველაზე პესიმისტური მოლოდინი გამართლდა, ჰარი კეინის არყოფნა დიდი დანაკლისი იქნება ტოტენჰემისთვისაც და ინგლისის ნაკრებისთვისაც. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატზე ინგლისელთა კაპიტანმა 6 გოლი გაიტანა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

კეინი ტოტენჰემის აღზრდილია. მიმდინარე სეზონში მან ინგლისის ჩემპიონატის 20 მატჩში ითამაშა და 11 გატანილი გოლითა და 2 საგოლე პასით გამოირჩა. პრემიერლიგაში გასული 22 ტურის შემდეგ მოურინიოს გუნდს 30 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზეა.

ევროპის 2020 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში 12 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით, კონტინენტის 12 ქალაქში ჩატარდება. გარეთ საუთგეიტის გუნდი დ ჯგუფში იასპარეზებს, სადაც მისი 2 მეტოქის ვინაობა უკვე ცნობილია – ხორვატია და ჩეხეთი.

ზამთრის თასი ბათუმში ჩატარდება

დავით პეტრიაშვილის სახელობის ზამთრის თასმა დისლოკაციის ადგილი შეიცვალა და 2020 წელს თბილისს გარეთ ჩატარდება. 19 იანვარს ბათუმის ახალ სპორტის სასახლეში გულშემატკივარი ლეგენდათა ტურნირს იხილავს.

წლევანდელ გათამაშებაში ზამთრის თასისთვის საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრებთან ერთად ესპანეთის, უკრაინის, თურქეთის, უეფასა და ფიფას გუნდები იბრძოლებენ. უკვე ტრადიციად ქცეულ ტურნირში მონაწილეობას სხვადასხვა თაობის გამორჩეული ფეხბურთელები მიიღებენ.

გუნდები ორ 3-გუნდიან ჯგუფში ასე გადანაწილდნენ:

ა ჯგუფი: ესპანეთი, უკრაინა, თურქეთი;

ბ ჯგუფი: საქართველო, უეფა, ფიფა.

ზამთრის თასის ფარგლებში ლეგენდათა ტურნირი უკვე მეოთხე წელია, იმართება.

გასულ წლებში ტურნირის გამარჯვებული ორჯერ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გახდა, ერთხელ – თურქეთის.

ალინა ურუშაძემ მეხუთე ადგილი დაიკავა

ლოზანაში ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენებმა რამდენიმე დისციპლინაში იასპარეზეს.

მოციგურავე გოგონათა შეჯიბრებაში ალინა ურუშაძემ ლამაზი თავისუფალი პროგრამა წარმოადგინა, ჯამში 179.50 ქულა დაუგროვდა და საბოლოოდ მე-5 ადგილი ერგო.

ფიგურულ ციგურაობაში მოცეკვავე წყვილთა შორის მიხაილ კაიგოროდცევისა და იულია ლებედევა-ბითაძის დუეტს თავისუფალ პროგრამაშიც მე-11 მაჩვენებელი (68.45) აღმოაჩნდა და საბოლოო შედეგების გათვალისწინებითაც ჯამური 115.65 ქულით იგივე ადგილი ერგო.

სამთო მოთხილამურეთაგან გიგანტურ სლალომში სტარტზე გავიდა ნოდარ კოზანაშვილი, მაგრამ პირველი დაშვებისას ტრასა 1:27.78 წუთში გაიარა, რაც 78 მონაწილეს შორის 52-ე შედეგი იყო. აღსანიშნავია, რომ ტრასის ბოლომდე გავლა 20-მა მოთხილამურემ ვერ შეძლო.

კურტანიძე მეორე დაშვების სტარტზე არ გამოცხადდა და საბოლოოდ 58-ე ადგილი დაიკავა.

ფედერაციები

13 იანვარი
ფეხბურთი

იტალია. სერია ა

პარმა-ლეჩე 2:0

საუკეთესო ცხრილი:

1.იუვენტუსი	19	15	3	1	37-18	48
2.ინტერი	19	14	4	1	40-16	46
3.ლაციო	18	13	3	2	41-17	42
4.ატალანტა	19	10	5	4	49-26	35
5.რომა	19	10	5	4	34-21	35
6.კალიარი	19	8	5	6	33-29	29
7.პარმა	19	8	4	7	26-25	28
8.ტორინო	19	8	3	8	25-26	27
9.ვერონა	18	7	4	7	21-22	25
10.მილანი	19	7	4	8	18-24	25
11.ნაპოლი	19	6	6	7	28-26	24
12.უდინეზე	19	7	3	9	17-28	24
13.ბოლონია	19	6	5	8	28-31	23
14.ფიორენტინა	19	5	6	8	23-29	21
15.სასუოლო	19	5	4	10	30-34	19
16.სამპდორია	19	5	4	10	19-28	19
17.ლეჩე	19	3	6	10	22-38	15
18.ჯენოა	19	3	5	11	20-38	14
19.ბრეშა	19	4	2	13	17-36	14
20.სპალი	18	3	3	12	12-29	12

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლორიანი-კაენი 2:1

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. პერიოდულად შრობადი მდინარეების საერთო სახელწოდება ავსტრალიაში; 3. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ბოსტნეული, ყვავილოვანი კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობა; 5. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 9. ქართული ფარმაცევტული კომპანია; 12. რძის შაქარი; 14. შამფურზე მწვადად ასაგები ხორცის ნაჭრები; 15. თავადის ტიტული ინდოეთში; 17. აფრიკული ლეშის მჭამელი ცხოველი; 18. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

თარაზულად: 6. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 7. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. ჩქარი მატარებელი; 16. აეროპორტი სინგაპურში; 19. სტაფილოში არსებული პიგმენტი; 20. წყლის ტრამვაი ვენეციაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კომბლე; 2. ტანინი; 3. ბერიკები; 4. სტრიტი; 6. ტოპონიმი; 8. დროება; 11. კაზემირო; 12. ბოდრუმი; 16. ქანდა; 17. აკინი; 18. ტრასა.

თარაზულად: 1. კაქტუსი; 5. სკოტი; 7. ვენდეტა; 9. ბარიერი; 10. პიანინო; 13. ბომბორა; 14. ხანუმა; 15. ჟოქო; 19. ურუშაძე; 20. ოკლაჰომა; 21. სანიშვილი; 22. რონოდა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ქებურია; 2. ეგერი; 3. ზედაზენი; 4. ღერღედი; 5. პანტომიმა; 9. დიდუბე; 12. მაშტოცი; 14. ლოკალი; 15. ვონი; 17. მტილი; 18. ლაპი.

თარაზულად: 6. ბედეგი; 7. თეოლოგია; 8. ბუკერი; 10. კენზო; 11. კარბადინი; 13. ღლიღვები; 16. კადიმა; 19. ალკოჰოლი; 20. ლინოტიპი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8876	ევრო — 3.2151
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7478	100 რუსული რუბლი — 4.7403

ამინდის პროგნოზი 15 იანვრისთვის

ბაკურ ბურდულმა სიმსივნით დაავადებულ ბავშვებთან ერთად კლიპი გადაიღო

მომღერალმა ბაკურ ბურდულმა სიმსივნით დაავადებული ბავშვები გაახარა და საუკეთესო საჩუქარი მოუმზადა.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატარები მან თავის ცნობილ სიმღერაზე „გილოცავთ ახალ წელს“ ახლებური ვერსიისთვის შექმნილ ვიდეორგოლში გადაიღო.

კლიპი სპეციალური ვებგვერდისთვის შეიქმნა, სადაც ის პატარები არიან გაერთიანებული, რომლებსაც საზოგადოების დახმარება სიცოცხლის გადასარჩენად სჭირდებათ:

– ამ ბავშვების გადარჩენა ხომ ნამდვილად ჩვენს ხელშია. მიულოცე ახალი წელი მათ, ვისაც გვერდში დგომა ყველაზე მეტად სჭირდება, აჩუქე სიცოცხლე. ერთად ყველაფერი შეგვიძლია, – ეს არის კამპანიის დევიზი, რომელიც პატარების სიცოცხლის გადარჩენისკენ თითოეულ ჩვენგანს მოგვიწოდებს.

სპრანო სალომე ჯიქია მარტინ სკორსეზეს ფილმში გადაიღეს



ქართველი სპრანო სალომე ჯიქია მარტინ სკორსეზეს დოკუმენტურ ფილმში გადაიღეს.

„ორატორია“ – ასე ეწოდება ფილმს, რომლის ნახვაც მაყურებელს თვის ბოლოს შეეძლება.

სალომე ჯიქია:

– მარტინ სკორსეზეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც თვის ბოლოს გამოდის. მეც მქონდა პატივი, მიმეღო ამ პროექტში მონაწილეობა კალიარის თეატრის მეშვეობით.

ეს იყო იტალიურ-ამერიკული პროექტი, რომელიც შარშან ჩატარდა ნიუ იორკში წმიდა პეტრეს ტაძარში.

დიმიტრი ხვთისიაშვილი მსახიობი გახდა

რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი მსახიობი გახდა. მან მონაწილეობა მიიღო რეჟისორ გიორგი ოვაშვილის ფილმში „მშვენიერი ელენე“, რომლის გადაღებებიც უკვე დასრულდა.

– დასრულდა არაჩვეულებრივი ქართველი რეჟისორის გიორგი ოვაშვილის ახალი ფილმის „მშვენიერი ელენეს“ გადაღების პროცესი. წინ დიდი სამუშაოა ფილმის საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე, თუმცა პირადად მე, რომელიც სრულიად მოულოდნელად აღმოვჩნდი გადასაღებ მოედანზე, თან ერთ-ერთ მთავარ როლზე, მივიღე უზარმაზარი გამოცდილება და სიამოვნება მუშაობისგან. ახალგაზრდული სტაფის თითოეულმა წევრმა თავი შემაყვარა და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

15 იანვრისთვის

ვერძი – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. ** კურო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** – ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** – ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** – ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **ღრიანცელი** – რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მეწყული** – პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** – სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ავტობუსში მთვრალი მამაკაცი იძახის:

– მარცხნივ დებილები სხედან, მარჯვნივ – მეძავები!

მარჯვენა რიგში მჯდომი ქალი აღშფოთებული ეუბნება:

– როგორ ბედავთ, ჩემი მეუღლისთვის ერთხელაც არ მიღალატია!

– მერე, რა გაყვირებს? მარცხენა რიგში გადაჯექი!

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გივი, მინდა, შენს ახლო ნათესავებზე დაგელაპარაკო!

– მართლა? გისმენ?

– გივი, მე შენი დედა...! როდის დამიბრუნებ ჩემს 500 ლარს?!

•••

ბოტანიკის გაკვეთილზე მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– ჩამოთვლილებიდან რომელია ზედმეტი: სტაფილო, ხახვი, კარტოფილი, ლექსუსი?

– სტაფილო, ხახვი, კარტოფილი.

•••

აბონენტი ოპერატორ გოგონას მიმართავს:

– გოგონი, შეტყობინებები ჩემამდე არ აღწევს!

– კიდევ ერთხელ წაიკითხეთ.

•••

მამაკაცი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, ნახევრად ყრუ ვარ.

– კარგით, მე გეტყვით ციფრს და თქვენ გაიმეორეთ.

– კარგი.

– რვა.

– ოთხი.

სიმეონემ ფედერიკო ვალვერდე შეაქო

დიეგო სიმეონემ კიდევ ერთხელ ისაუბრა ესპანეთის სუპერთასის ფინალზე, სადაც ატლეტიკო რეალთან პენალტების სერიაში დამარცხდა.

სიმეონეს თქმით, გადამწყვეტი მომენტი ფედერიკო ვალვერდეს ვარდნა იყო, როდესაც მან წითელი ბარათის ფასად ალვარო მორატას გოლის გატანის საშუალება არ მისცა:

– იმ ეპიზოდში ვალვერდემ ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა და მან თავისი გუნდი გადაარჩინა. მე მომწონს, როდესაც ფეხბურთელები ასეთ თავგანწირვას იჩენენ.

მანჩესტერ იუნაიტედს უსმან დემბელეს შეძენა სურს

ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მანჩესტერ იუნაიტედი ბარსელონის ფრანგი ფორვარდის უსმან დემბელეს შეძენით დაინტერესდა და მზად არის, ამ ტრანსფერში 80 მილიონი გადაიხადოს.

ბარსელონა დემბელეს არ გაუშვებს, რადგან 80 მილიონი მათთვის საკმარისი არ არის. გარდა ამისა, ტრავმა მიიღო ლუის სუარესმა და დემბელეს როლი ბარსელონაში გაიზრდება. ამჟამად დემბელეც ტრავმირებულია, თუმცა ის მოედანს მალე უნდა დაუბრუნდეს.

2017 წელს ბარსელონამ მის ტრანსფერში 105 მილიონი გადაიხადა.

იუვენტუსი პოგბას არ ივიწყებს

ტურინის იუვენტუსი მზად არის, ზაფხულში ისევ დაუბრუნდეს პოლ პოგბას ტრანსფერს და ამჯერად მანჩესტერ იუნაიტედს უფრო დიდი თანხა შესთავაზოს.

საუბარია 100 მილიონ დოლარზე, თუმცა მანჩესტერელები კიდევ უფრო მეტს ითხოვენ. ბოლო პერიოდში პოგბა იშვიათად თამაშობდა და ამის მიზეზი ტრავმაა.

ერთი კვირის წინ მან ოპერაციაც გაიკეთა, რის შემდეგაც მისი მოედანზე დაბრუნების ზუსტი დრო ცნობილი არ არის.

იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ოლე გუნარ სოლსკიაერი პოგბას გაშვების კატეგორიული წინააღმდეგია.

კრისტიან ერიქსენი ინტერს მიუახლოვდა

ლონდონის ტოტენჰემის შემტევი ნახევარმცველი კრისტიან ერიქსენი, სავარაუდოდ, კარიერას ინტერში გააგრძელებს.

ტოტენჰემი მის გაყიდვას ზამთარში შეეცდება, რადგან ზაფხულში ერიქსენს კონტრაქტი უმთავრდება და ის გახანგრძლივებას არ აპირებს.

ინტერში ერიქსენს წლიური ანაზღაურება 10 მილიონი ევრო ექნება, რაც იტალიისთვის ძალიან მაღალი ხელფასია.

ტოტენჰემის მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მან იცის ერიქსენის წასვლის შესახებ და მასზე აქცენტს აღარ აკეთებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ხოაკინ კორტესმა ქართულ ჩოხაში იცეკვა

ფლამენკოს მეფე ხოაკინ კორტესმა „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეცხრე სეზონის ფინალში ქართული ჩოხით იცეკვა.

ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ქართული დოლისა და ხანჯლის თანხლებით სპეციალურად დადგმული საცეკვაო ნომერი წარმოადგინა და დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

„ცეკვავენ ვარსკვლავები“ ანკა ვასაძემ მოიგო

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეცხრე სეზონის გამარჯვებული მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ანკა ვასაძე გახდა.

ანკას მეწყვილე ოთო ფოლადაშვილი იყო. წყვილი ფინალამდე ისე მივიდა, რომ ერთხელაც არ ყოფილან გავარდნის კანდიდატები.

მეორე ადგილზე ფეხბურთელი დავით თარგამაძე და ჯულიანა ბარგნარი გავიდნენ.

მესამე ადგილი კი მსახიობმა გია ფერაძემ და ვერკა ჯაჯანიძემ დაიკავეს.

ყველა ფინალისტს სხვადასხვა პრიზი გადაეცა. საზოგადოების დიდი პროტესტი გამოიწვია იმან, რომ გია ფერაძეს მხოლოდ მობილური აჩუქეს.

„მხოლოდ ქართული“ ნიკა შუბითიძემ დატოვა

„მხოლოდ ქართულში“ ინოლა გურგულიას საკონკურსო ტური წარუმატებელი ნიკა შუბითიძისთვის აღმოჩნდა. მან ჟიურისა და მაყურებლისგან ჯამში 59 ქულა დააგროვა და პროექტს გამოეთიშა.

მაყურებლის რჩეული ნინი შონია გახდა, თუმცა ჟიურის 50 ქულით და მაყურებლის 45 ქულით კონცერტის ლიდერობა თამთა ხუხუნაიშვილი მოიპოვა.

კონკურსანტები ლელა წურწუმიას ნაცვლად ნიკა გვარამიამ შეაფასა. მან მომღერალი მხოლოდ ამ ტურში შეცვალა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. მდინარე თურქეთსა და საქართველოში; 2. კუთხე საქართველოში; 3. საწვრთნელი ორთაბრძოლა კრივში; 4. ქალის უთითო ხელთათმანი; 6. ქალების მოყვარული, მექალთანე მამაკაცი; 8. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. ხევსურული ტანსაცმელი; 12. ყმაწვილის ხმის შეცვლა, დაბოხება ასაკში შესვლის გამო; 16. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული; 17. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 18. მთამსვლელთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში.

თარაზულად: 1. ქალაქი იმერეთში; 5. ანტონიო გაუდის მიერ დაპროექტებული პარკი ბარსელონაში; 7. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 9. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 10. იტალიელი მოდელერი; 13. ჯიბის ქურდი; 14. აეროპორტი ნიუ იორკში; 15. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 19. იტალიური ვერმუტი; 20. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. კათოლიკური ეკლესიის მცველი, მეთვალყურე; 22. მოღრუბლული დილა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა